საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 71 (350)
ხუთშაბათი, 30 აპრილი, 1992 წელი
ფასი 1 მანეთი

## წუ[illegible]ელ

## შე[illegible]ვეთ

[illegible] ალტერნატიუ[illegible]ელი [illegible] კავშირებით

## სხ[illegible]სად უნდა [illegible]რში ამოქმედდა [illegible]

გუშინ, [illegible] პრაქტიკ[illegible]ის სახელმწიფო [illegible] მუშაობს, რა[illegible]ართა საქართვე[illegible] დღევანდელი [illegible] შეეხება ჩვენ[illegible]ის მთავრობ[illegible] ვარიანტის აღდ[illegible]მა. სხდომას თავმჯ[illegible]არეობდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის მინისტრები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების თავკაცები.

დღის წესრიგში იყო საკითხი: მიმდინარე ეტაპზე ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ზონის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას შესავალი სიტყვის შემდეგ კამათში გამოვიდნენ ქ. რუსთავის გამგეობის თავმჯდომარე სოსო არეშიძე, გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ქმ[illegible]ბ ნიჟარაძე, დუშეთის რაი[illegible] გამგეობის თავმჯდომარე უშ[illegible] პირმისაშვილი, ახალციხის [illegible]ნ ჯინის მინაძის მეურნეობის დი[illegible]რი ვლადიმერ მურვანიძე, [illegible]ის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ელიაშვილი, [illegible] რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ვალიკო დოლიაშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოდარ ჭითანავა, საქტელერადიოდეპარტამენტის საკუთარი კორესპონდენტი მაყვალა ოქროპირიძე, რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პაატა კოღუაშვილი და სხვ.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ბატონმა თენგიზ სიგუამ. სხდომის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდება.

**გურამ ვაშაკიძე**

## ● ვითარება კვლავ დაძაბულია

შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებებიდან მიღებული ინფორმაციების თანახმად, განვლილი დღე-ღამის განმავლობაში (28-29 აპრილი) რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია ძირითადად ნორმალური იყო.

მხოლოდ ქალაქ ზუგდიდში შეინიშნებოდა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ძალების ერთგვარი აქტიურობა. კერძოდ, 28 აპრილს 18 საათზე ქალაქის ცენტრში კინოთეატრის წინ შეიკრიბა 800-მდე კაცი. მათ გამართეს ერთსაათიანი მიტინგი, რომელზეც მოითხოვდნენ ზუგდიდის გამგებლის ოთარ ფაცაციას და რესპუბლიკის დროებითი მთავრობის გადადგომას, ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებას, ამ საკითხზე რეფერენდუმის მოწყობას. ამის შემდეგ მომიტინგეები გაემართნენ ინგურქაღალდკომბინატისაკენ, რათა იქ კომბინატის მუშებთან ერთად გაეგრძელებინათ აქცია. მაგრამ საგანგებო წესების თანახმად, ისინი გზაში შეაჩერა შინაგანი ჯარის ნაწილმა. ჰაერში რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლისა და ახსნა-განმარტებითი საუბრის შემდეგ მომიტინგენი დაიშალნენ.

რაც შეეხება კრიმინოგენულ ვითარებას, ჯერჯერობით კვლავ დაძაბულია. გასული დღე-ღამის განმავლობაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 40 დანაშაული, რომელთაგან 19 ცხელ კვალზე გაიხსნა. მოხდა ერთი მკვლელობა, 4 ყაჩაღობა, 17 ქურდობა, გაიტაცეს 3 ავტომანქანა, 5 ავტოავარიაში დაიღუპა 3 ადამიანი.

27 აპრილს ღამით ოჩამჩირე-აჩიგვარას რკინიგზის გადასარბენზე ერთმანეთს დაეჯახა სოხუმისკენ მიმავალი ორი სატვირთო მატარებელი. შედეგად ლიანდაგიდან გადავარდა ბენზინით სავსე სამი ცისტერნა, დაიღვარა დაახლოებით 120 ტონა ბენზინი. მიმდინარეობს გამოძიება.

**რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

# ერთად ვეძიოთ ოპტიმალური გადაწყვეტილებები

# კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

## პრინციპულობა და მომთხოვნელობა

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მუშაობას ახასიათებს ის თავისებურება, რომ აღარ არის უფერული ერთსულოვნება პრაქტიკულად ყოველი განსახილველი საკითხის გამო. აზრების თვალსაზრისების ჭიდილი ამა თუ იმ პრობლემის გამო ზოგჯერ მეტად მწვავდება. მაგრამ ეს არ უშლის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, გაერთიანებების წარმომადგენლებს, რომლებიც მასში მონაწილეობენ, ერთად ეძიონ კეთილმოსურნეობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით გამსჭვალული ოპტიმალური გადაწყვეტილებები კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით.

გამონაკლისი არც 28 აპრილს გამართული მორიგი სხდომა ყოფილა, რომლის დღის წესრიგი, როგორც ჩვეულებრივ, აღსავსე იყო რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებით. საკმარისია ითქვას, რომ ამჯერად განსახილველად გამოიტანეს ხუთი დეკრეტის პროექტი. ერთ-ერთი პირველი, — საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ, — წარმოადგინა გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. მანამდე ამ საკანონმდებლო აქტის პროექტს განიხილავდნენ სახელმწიფო საბჭოს იურიდიულ კომისიაში. შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით პროექტის ტექსტი დეტალურად გააანალიზეს, რის შემდეგაც გადაწყდა კვლავ დაუბრუნონ იგი კომისიას სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად დახვეწისათვის.

რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით სახელმწიფო საბჭომ განიხილა სამი დეკრეტის პროექტები: აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის პროექტი, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულთა სტატუსის შესახებ. ყოველი ამ პროექტის გამო აზრთა საფუძვლიანი გაზიარების შემდეგ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი. საგულისხმოა, რომ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ პროექტის განხილვის დროს საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსიის საგანი გახდა საკითხი, საჭიროა თუ არა საქართველოს მოქალაქეთათვის პირადობის მოწმობაში, რომელიც მზადდება, ეროვნების შესახებ გრაფის შეტანა. ერთი შეხედვით თითქოს არ უნდა იყოს რთული საკითხი, მაგრამ სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. თუ უარს ვიტყვით ამ გრაფაზე და აღვნიშნავთ მხოლოდ მოქალაქეობას, როგორც ეს მიღებულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, შეიძლება გამოვიდეს, რომ ჩვენში ილახება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უფლებები. თუკი შევიტანთ ამ გრაფას, ისევ პრობლემა დგება — ხაზი ესმება ეროვნებას, ამით თითქოს სახელმწიფო აპირებს ეროვნული ნიშნით საზოგადოების დიფერენცირებას. ძირითადად ეს არგუმენტები გამოითქვა როგორც ერთი, ისე მეორე ვარიანტის წინააღმდეგ. საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო საბჭოს წევრთა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი, რომ ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოება, რომელშიც, სამწუხაროდ, ჯერ არ გამქრალა ურთიერთეთნიკური სიფრთხილე, ჯერ არ არის მზად ასეთი ფორმალურად ეროვნული გაუპიროვნებისთვისაც კი. კენჭის ყრის შედეგად სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პირადობის მოწმობაში შეიტანოს გრაფა ეროვნული კუთვნილების შესახებ. რაც შეეხება პასპორტებში, რომლებიც რესპუბლიკის მცხოვრებთ მიეცემათ საზღვარგარეთ გამგზავრების დროს, გადაწყდა, რომ მათში აღინიშნება მხოლოდ მოქალაქეობა. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევის შესახებ დეკრეტის პროექტი გადაწყდა განიხილონ სახელმწიფო საბჭოს შესაბამის კომისიაში მისი საბოლოო დამუშავების შემდეგ.

სახელმწიფო საბჭომ მოისმინა მაჰმადიანი მესხების პრობლემების შემსწავლელი კომისიის ინფორმაცია კრასნოდარის მხარეში მისი წევრების ჩასვლისა და შეხვედრების შესახებ, სადაც, როგორც ცნობილია, ცხოვრობს 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მესხების შთამომავალთა ნაწილი. როგორც აღინიშნა, ახლა მათ ემუქრება ადგილობრივი კაზაკობის მხრივ მორიგი დევნა. ხელისუფლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კაზაკობის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს შეიმუშავეს კონცეპტუალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პრობლემის თანდათანობით გადაჭრისათვის გამიზნულ მრავალმხრივ მოქმედებას. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეს არის საერთაშორისო პრობლემა, რომელსაც საქართველოსთან ერთად ხელი უნდა მოჰკიდონ მასთან უშუალოდ დაკავშირებულმა სხვა სახელმწიფოებმაც.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

**ედუარდ ედიბერიძე,**
**თენგიზ ნიკოლაიშვილი.**

### სანდრო კავსაძე:

## „მნიშვნელოვანია დაინგრეს უნდობლობის კლდე...“

**ახლა ცხინვალის რეგიონი ყველაზე ცხელი წერტილია საქართველოში. ყველა ჩვენგანის განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია სამაჩაბლოსაკენ, გვაინტერესებს რა ვითარებაა სადღეისოდ იქ მას შემდეგ, რაც 25 აპრილს რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა ქვეგანაყოფმა დატოვა დისლოკაციის ადგილი. სწორედ ამ თემას ეხება საქინფორმის კორესპონდენტის მერი გაბრიაძის საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილესთან, ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან სანდრო კავსაძესთან:**

— ახლა ძნელია რეალურად მოგცეთ ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა უშუალოდ ცხინვალში ან ჯავაში. დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ გორისა და ქარელის რაიონების ტერიტორიაზე მდებარე სოფლების — ერედვის, ნიქოზის, ვანათის, აგრეთვე ლიახვის ხეობის სოფლების — თამარაშენის, აჩაბეთისა და სხვათა შესახებ. დღემდე აქ მდგომარეობა ერთგვარად გაწონასწორებული იყო. ჯარის ნაწილების რეგიონიდან გასვლის შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ ამ რეგიონის ქართულ მოსახლეობას თავი შეეკავებინა ყოველგვარი გართულებისაგან, გამოეჩინა ჩვეული სიბრძნე და გონიერება, ასევე მივმართეთ ოს მოსახლეობას ტელევიზიის საშუალებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ გვიხდება უსიამოვნო ფაქტებზე საუბარი. კერძოდ გავრცელდა ხმები, თითქოს ერთ-ერთ სოფელში ქართველების მხრივ იყო რაღაც გაუგებრობა. ვითარების გასარკვევად და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად იქ 29 აპრილს ნაშუადღევს გაემგზავრნენ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის წევრები.

ახალშექმნილი კომიტეტი გაჭიანურებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით გეგმავს პრაქტიკულ ღონისძიებებს. ამ დღეებში ჩვენი ჯგუფი ჩავა გორში, მოვძებნით საშუალებებს, რომ, სადაც კი ეს შესაძლებელია, მეზობელი მეზობელს დაუკავშირდეს და აღდგეს მშვიდობიანი ურთიერთობა სოფლებს შორის. ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. ამათგან ერთ-ერთი მწვავე საკითხია ლტოლვილების დაბრუნება მშობლიურ კერაზე. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მარშით, ბრძოლით, ცეცხლით, არამედ გონივრული კონტაქტებით, კეთილმოსურნეობით, გაგებით. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა, დემოკრატიულმა საზოგადოებამ, თვით რეგიონის ქართველმა და ოსმა მოსახლეობამ, რათა, მიუხედავად დიდი და მძიმე შედეგებისა, ამ კონფლიქტს რომ მოჰყვა, აღდგეს მშვიდობა, რომლისკენაც ასე ილტვის სისხლისღვრით დაღლილი ხალხი, მთელი საქართველო.

უპირველესი და მნიშვნელოვანია, რომ დაინგრეს უნდობლობის კლდე. და როცა ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, მერე ადვილად გადაწყდება მშვიდობის საკითხი. საქართველოს ხელისუფლება, პირადად ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომლის წინადადებითაც შეიქმნა ჩვენი კომიტეტი, ბატონი თენგიზ სიგუა აქტიურად გვიჭერენ მხარს ამ საკითხების უსწრაფესად მოგვარებაში. ჩვენ ჰაერივით გვჭირდება სიმშვიდე ამ რეგიონში და თუ ამას იქ მცხოვრები ოსებიც ირწმუნებენ, მაშინ წინ არაფერი დაგვიდგება. ვიმეორებ, საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ იგი პასუხისმგებელია ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის ბედისათვის, განურჩევლად მისი ეროვნებისა. ხელისუფლება თვლის, რომ დღეს ჩვენთვის ერთნაირი გულმოდგინებითა და დაინტერესებით განსახილველია ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველი და ოსი ადამიანების ბედი, და არ დაუშვებს, რომ შეილახოს რომელიმეს უფლებები. საქართველოს ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ ცხოვრება ჩადგება ნორმალურ კალაპოტში და იგი თვითონ იტყვის ვინ არის სწორი, და ვინ არა. ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება მხოლოდ ჩვენივე საქმეა და არა კავკასიის ხალხთა კონფედერაციისა. გვინდა ცხინვალის რეგიონში შექმნილ სიტუაციაში გასარკვევად მოვიწვიოთ საერთაშორისო ექსპერტები.

პირველი ნაბიჯები სამოქალაქო მშვიდობის აღსადგენად გადადგმულია. ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. ჩემი ცხოვრების მიზანი ყოველთვის იყო და არის ადამიანის უფლებების დაცვა, ძალადობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა. შემიძლია გულახდილად ვთქვა, რომ იმ კომუნისტური რეჟიმის დროსაც ამ სფეროში ვიღვწოდი, ახლაც ამ საკითხებზე ვმუშაობ. მე გავაკეთებ მაქსიმუმს, რომ ეს კონფლიქტი, უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა მოგვარდეს. თუმცა, ეს ძალიან რთულია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სამართებლის პირზე ვართ. დღეს ისეთი ურთიერთობა გვჭირდება, რომ აღვადგინოთ ნდობა, ვიპოვოთ ძალა ურთიერთშენდობისა, პატიებისა, შეხების წერტილებისა, რომლებიც თავიდან აგვაცილებს სისხლისღვრას და ახალ მსხვერპლს.

დარწმუნებული ვარ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და მშვიდობა აღდგება სამაჩაბლოს გულდაჭრილ მიწაზე.

# საუბარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

**29 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ზაარის მხარის განათლებისა და სპორტის მინისტრი მარიანა გრანცი.**

გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ქალბატონი გრანცი, საქართველოს დიდი მეგობარი, აქ ჩამოვიდა ჰუმანური მისიით — გადმოგვცეს გერმანელი მეგობრების ჰუმანიტარული დახმარება. გარდა ამისა, ქალბატონმა გრანცმა გადაწყვიტა თბილისის ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს გადასცეს პირადი დანაზოგი — ორმოცი ათასი მარკა.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ზაარლანდის მთავრობასა და მცხოვრებლებს ჰუმანიტარული დახმარებისათვის, დაახასიათა რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ საქართველოსათვის ამ ძნელ ჟამს კეთილი ნების ყოველგვარი ჟესტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

მარიანა გრანცმა ბატონ შევარდნაძეს გადასცა ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრის ოსკარ ლაფონტენის გულითადი სალამი და აცნობა, რომ იგი დიდი სიამოვნებით დათანხმდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიწვევას ამ ქვეყანაში.

— ოსკარ ლაფონტენსა და მის მეგობრებს, რომლებიც ამავე დროს საქართველოს მეგობრებიც არიან, — თქვა მინისტრმა, — ღრმად სწამთ, რომ მათთვის საყვარელ ქვეყანაში სიტუაცია გაუმჯობესდება. თბილისისა და ზაარბრიუკენის, საქართველოსა და ზაარლანდის ჩვიდმეტი წლის ძმადნაფიცობა მომავალში უფრო აქტიური თანამშრომლობის საწინდარია. ჩვენი ქვეყნების მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება ქართველი ხალხისათვის განსაცდელის ჟამს.

— მე საქართველოში არა მარტო მედიკამენტები ჩამოვიტანე, — თქვა ქალბატონმა გრანცმა, — არამედ მოლაპარაკებაც მქონდა აქ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მინისტრებთან, ჩემი მიზანია ხელი შევუწყო იმ იდეების ხორცშესხმას, რომლებზეც თბილისში ვიზიტის დროს ლაპარაკობდა ბატონი გენშერი, და რომლებიც საფუძვლად დაედება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს მეგობრობას.

ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ სთხოვა გადასცეს ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრსა და მთელ ხალხს გულწრფელი მადლიერების სიტყვები მათი კეთილი გრძნობებისა და დახმარებისათვის, რომელიც საქართველოს გაუწიეს, კვლავ დაადასტურა ოსკარ ლაფონტენის მოწვევა საქართველოში მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს, რომელიც შეთანხმებული იქნება დიპლომატიური არხებით.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა განათლებისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის მნიშვნელობა, გამოთქვა იმედი, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდება ერთმანეთს ორი ქვეყნის განათლების, ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციისა და სპორტის სისტემები.

საუბარს დაესწრნენ გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი კოტე გაბაშვილი.

### ● განგაშის ზარი

# ხელფასიც მოვითხოვოთ, მაგრამ მკლავებდაკაპიწებულებმაც ვიშრომოთ

ერთ დროს ტყიბულის ლენინის სახელობის, ამჟამად იმერეთის შახტი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანად იყო აღიარებული. აქაური მეშახტეები ყოველწლიურად 600-640 ათას ტონა ქვანახშირს იღებდნენ ქვესკნელის საუკუნოვანი ფენებიდან. უკანასკნელ ხანს, სხვა შახტების მსგავსად, აქაც თანდათანობით იკლო ტემპმა, და აი, შარშან მხოლოდ 112 ტონა ქვანახშირიღა ამოიღეს. ზარალმა 1.788 ათასი მანეთი შეადგინა.

**მეშახტეები** შველას რატომღაც საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ქუთაისიდან ტყიბულში გადმოტანაში ხედავდნენ და ამ მიზნით 1990 წელს გაუთავებელი გაფიცვები მოაწყვეს. ეს აღსრულდა, „საქქვანახშირის“ 120-კაციანი კოლექტივი ტყიბულში იძულებით გადმოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას მეშახტეთა შრომის თუ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების მინიმალური გაუმჯობესებაც კი არ მოჰყოლია. ისინი მწარედ მოტყუვდნენ და ახლა კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ პრობლემების სასწრაფოდ გადაწყვეტას.

ამჯერად ინიციატორად იმერეთის სახელობის შახტის (დირექტორი — ბადრი არაბიძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე — გულჯერ გვენეტაძე) კოლექტივი გამოვიდა. საინიციატივო ჯგუფმა წერილობითი მოთხოვნები წაუყენა „საქქვანახშირის“ ტერიტორიული პროფკავშირული კომიტეტის, ადგილობრივი მმართველობის გამგეობისა და მშრომელთა კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს. მასში მითითებული იყო, რომ, თუ 20 აპრილამდე არ დააკმაყოფილებდნენ მეშახტეთა მოთხოვნებს, მიმართავდნენ უკიდურეს ზომებს.

პროფკომიტეტმა 21 აპრილისთვის ხელმძღვანელ მუშაკებთან შეხვედრა-დიალოგი დანიშნა. მეშახტეები არ დაელოდნენ ამ შეხვედრას და 20 აპრილს სამუშაოდ წასვლაზე უარი განაცხადეს.

მაინც, რას მოითხოვდნენ მეშახტეები?

პირველი აპრილიდან ხელფასის სამჯერ გაზრდას, პირველი მოთხოვნილების პროდუქციით ტყიბულის მომარაგების გაუმჯობესებას, მეშახტეების სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფას, ქალაქში ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას.

გაფიცულ მეშახტეებს მაშინვე შეხვდნენ ქალაქის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე რევაზ ჭიჭინაძე და გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალური დირექტორი კიტა კიზირია, რომელთაც აღუთქვეს მეშახტეებს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა. ამის შემდეგ მეშახტეები სამუშაოდ გავიდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 36 კაცს.

იმავე დღეს გაიმართა გაერთიანება „საქქვანახშირის“ დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელმაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად ხელფასების ეტაპობრივი გაზრდა გადაწყვიტა. კერძოდ, 1991 წლის 1 აპრილის დროინდელ ხელფასთან შედარებით მიწისქვეშ მომუშავე მუშების ანაზღაურება გაიზრდება 5-ჯერ, ხოლო მაღლა მომუშავეებისათვის — 4-ჯერ. 21 აპრილისთვის დანიშნული შეხვედრა-დიალოგი მაინც გაიმართა და 4 საათზე მეტ ხანს გასტანა. აქ, სადაც ერთგვარად ჭარბობდა ემოციები, მეშახტეებმა გულახდილად ილაპარაკეს თავიანთ გულისტკივილზე, გასაჭირზე, ქვანახშირის მრეწველობის კრიზისულ მდგომარეობაზე, პრობლემების მთავრობის დონეზე გადაჭრის აუცილებლობაზე, შახტებისთვის დამოუკიდებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე და სხვა.

იმის გამო, რომ დაზიანებულია ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის ხაზი, მეშახტეები ვერ იღებენ ვაგონებს ქვანახშირის გადასატვირთად და ისინიც იძულებულნი არიან შეაჩერონ მუშაობა. ამ მიზნით შახტებიდან გაუტანელია 15 ათას ტონამდე მოპოვებული პროდუქცია. სამაგრი ხე-ტყის მასალის, მთელი რიგი სამშახტო მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების ფასების კოლოსალურმა ზრდამ, ცენტრალური სამეურნეო კავშირების მოშლამ ხელი შეუწყო ფინანსურ კაბალას. ამის შედეგია, რომ წლეულს პირველ კვარტალში გაერთიანებამ მხოლოდ 4 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, ხელფასის სახით კი ყოველთვიურად 6 მილიონი მანეთი გასცა.

ითქვა ისიც, რომ შარშანდელთან შედარებით წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მეშახტეთა ხელფასი, საქართველოს მთავრობამ დოტაციის სახით 200 მილიონი მანეთიც კი გამოყო, გაიზარდა ქვანახშირის შესასყიდი თანხა. შემუშავებულია დარგის პერსპექტიული განვითარების ღონისძიებათა პროგრამა. მაგრამ მთავრობაში მისი განხილვა სხვადასხვა მიზეზების გამო ჭიანურდება. ამიტომაც მეშახტეები უკმაყოფილონი არიან.

სამართლიანი საყვედურები გამოითქვა კომერციული მაღაზიების მისამართით.

ბენზინის მწვავე დეფიციტის გამო ქალაქში არ მუშაობს ავტობუსები. უტრანსპორტობის გამო ყოვნდება სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები.

ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე რომ ლაპარაკობდნენ, მეშახტეებმა მთავრობის წარმომადგენელთა ტყიბულში დაუყოვნებლივ ჩამოსვლა და მათთან შეხვედრა მოითხოვეს.

ვერ ვიტყვით, რომ მათი მოთხოვნები უსამართლო იყოს, თუმცა აქვე ერთსაც დავსძენთ. შეხვედრის გამართვამდე მეშახტეები ხელფასის 8-ჯერ გაზრდას მოითხოვდნენ, დიალოგის დროს კი 5-ჯერ მომატება — თვეში 10.000 მანეთი მოითხოვეს. თუ ასე გაგრძელდა, გამორიცხული არ არის, რომ ფასების ზრდის კვალობაზე ხვალ 15, ხოლო ზეგ 20 ათას მანეთსაც აღარ დასჯერდნენ. საკითხავია, საიდან უნდა გაიცეს ასეთი ხელფასები, თუ ქვანახშირის პროდუქცია არ შეიქმნა? დღისდღეობით, ცხადია, გაფიცვებით მატერიალური დოვლათი არ შეიქმნება. კარგად ვიცით, გაფიცვებმა, აქციებმა და მიტინგებმა როგორ გააჩანაგა და დააკნინა ჩვენი ეკონომიკა. ამიტომ ხელფასის მომატების მოთხოვნასთან ერთად თუ მკლავებდაკაპიწებულიც ვიმუშავებთ, საკუთარ თავსაც წავადგებით და ქვეყანასაც.

**გივი გეწაძე.**

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ვარშავა. აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პოლონეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ეჟი მაკარჩიკმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ უკლებამ.

პოლონეთში საქართველოს მთავრობის დელეგაციის სამი დღის ვიზიტის დროს აპირებენ აგრეთვე ხელი მოაწერონ შეთანხმებას ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც შეიცავს ისეთ დარგებს, როგორიც არის ელექტრომანქანათმშენებლობა, სამშენებლო და კვების მრეწველობა, მზა ტანსაცმლის წარმოება და სოფლის მეურნეობა.

### უკრაინის თავდაცვის მინისტრის განცხადება

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა მოროზოვმა კიევში პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის შეასრულოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება და შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების პროცესის განხორციელებისას უკრაინა მოითხოვს, მიენიჭოს თანასწორუფლებიანი მხარის სტატუსი. რაც შეეხება ტაქტიკურ ბირთვულ შეიარაღებას, აქ საჭიროა საერთაშორისო კონტროლი დაუწესდეს მის გატანას, შენახვას და მოსპობას.

### დაწვეს სკოლები

ზუგდიდი. ბევრი საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, კომუნალური მომსახურების, ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა დაინგრა და გაჩანაგდა აქ იანვრიდან დღემდე, არც სასწავლო-საგანმანათლებლო შენობები დაინდეს ავმა ძალებმა. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 27 აპრილს მათ მიერ ჩადენილმა დანაშაულმა. სოფელ ჯიხასკარსა და სოფელ რუხის ნაწულუკუს უბანში დაიწვა ორი რვაწლიანი სკოლის შენობა. საკითხავია, როგორ შეხედავენ თვალებში ბოროტმოქმედნი იმ შეწუხებულ გოგო-ბიჭებს, რომლებსაც 28 აპრილს, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, უხმობდა სკოლის ზარი. მართლმსაჯულება უთუოდ იტყვის თავის სიტყვას ამ საგანგაშო დანაშაულის ჩამდენთა მიმართ.

### კიდევ ერთი ახალი გაზეთი

ახლა ახალი გაზეთის გამოსვლა ვიღას აკვირვებს — იმდენი გაზეთი გამოვიდა, რომ ხშირად დასახელებასაც ვერ იმახსოვრებ. მაგრამ ასეთი გაზეთი საქართველოში პირველი და ერთადერთია — მას „ქართული კულტურა“ (რედაქტორი თ. მეტრეველი) ჰქვია და საქართველოს კულტურის ფონდთანაა შექმნილი. ამიერიდან ქართული კულტურის მოღვაწეებს, მათს მილიონობით თაყვანისმცემელს, შემოქმედ ინტელიგენციას და, საერთოდ, ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართველი ხალხის დღევანდელი სულიერი ცხოვრებით, გაუჩნდა საკუთარი ინფორმატორი გზამკვლევი იმ გზაზე, რომელმაც თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში ხელი უნდა შეუწყოს ქართული კულტურის განვითარებას.

**ტელეტაიპის ლენტიდან**

# პოლიტიკურ პარტიათა პრესკონფერენცია

**თბილისში** გაიმართა საარჩევნო ბლოკ „აჭარაში“ შემავალი პოლიტიკური პარტიების, ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის პრესკონფერენცია. იქ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ჟურნალისტთა მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს აჭარის დემოკრატთა კავშირის „დედასაქართველოს“ რესპუბლიკური და ეროვნული დამოუკიდებელი პარტიების „სახალხო ფრონტის“ რეგიონალური ორგანიზაციების, სტუდენტობის წარმომადგენლებმა.

რით არის გამოწვეული ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში პრესკონფერენციის მოწყობა? სტუმართა აზრით, ისინი მოკლებული არიან ხმის შესაძლებლობას აჭარაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის შედეგად. ტელევიზია, უმნიშვნელოვანესი გაზეთები გამოხატავენ მხოლოდ ოფიციალურ ხელისუფალთა აზრს, აჭარაში სიტუაციისადმი ასეთივე მიდგომა დაისახა უკანასკნელ ხანს ჟურნალისტთა ცნობებშიც, რომლებიც წარმოადგენენ მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ ორგანოებს, კერძოდ, საქართველოს ტელევიზიას. ოპოზიციის ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო ხელვაჩაურის სახალხო ფრონტის გაზეთი „მაჭახელა“ რამდენჯერმე დაიხურა, ჟურნალისტებს კი დევნიან.

იმან, რომ არ არის პლურალიზმი, აღინიშნა პრესკონფერენციაზე, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. პარლამენტის პრაქტიკული უმოქმედობის პერიოდში ამან შეიძლება გააძლიეროს ავტორიტარიზმის ტენდენციები, დემოკრატიული ინსტიტუტების გაუქმება მმართველობის სტრუქტურებში. არადა, რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია მოითხოვს კრიზისის დაძლევაში მთელი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციასა და ფართო მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით ყურადღება დაეთმო იმას, რომ გრძელდება წარმოების დაქვეითება, კორუფცია, იზრდება დამნაშავეობა, ტერორიზმი, მათ შორის პოლიტიკურ საფუძველზეც.

პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა და აქ დამსწრე პარლამენტის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან აჭარის ახლანდელი ხელმძღვანელობის კურსს, და რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოითხოვონ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომა უახლოეს სესიაზე.

# სამხედრო კომენდანტის ცნობა

**როგორც** ჩანს, თბილისელებმა შეიგნეს, რომ ბოლოს და ბოლოს, საჭიროა დაიცვან კომენდანტის საათი. ყოველ შემთხვევაში, 28 აპრილს ღამით დაკავებულთა რიცხვი მინიმალურია უკანასკნელი დროის მანძილზე — 15 კაცი. ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურში. და კიდევ ერთი სასიხარულო ახალი ამბავი — პრაქტიკულად არ მომხდარა სერიოზული სამართალდარღვევები განვლილი დღე-ღამის განმავლობაში.

შედეგები მოჰყვა ისნის, დიდუბის, გლდანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მიერ მოწყობილ ღონისძიებებს. ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ასაფეთქებელი მოწყობილობა, აგრეთვე დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებანი. საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა ადამიანი და ნებაყოფლობით ჩააბარა იარაღი.

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, სახალხო არტისტი, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, პროფესორი

**ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ახალი ამბები

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“
და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი ● მოვლენა ● კომენტარი

# ხალხს რომ ეამაყებოდეს

### ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი ანზორ მაისურაძე



**— ბატონო ანზორ! რას ფიქრობთ, როგორია საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება სახელმწიფო უშიშროების სისტემისადმი? უფრო უარყოფითი, თუ უფრო დადებითი?**

— სამიოდე თვის წინ ყოველი დღე საქართველოში აგენტების ხსენებით იწყებოდა და სუკით მთავრდებოდა. ამგვარი პოლიტიკის მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მკვეთრად გამოხატული ცალფა აქცენტებით. ეფექტი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ამის მომსწრე და მოწმე ყველანი ვართ.

და კიდევ, აი, რას გიპასუხებთ.

ჩვენს საზოგადოებრივ წყობაში, სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე რევოლუციურმა ცვლილებებმა უშიშროების სამსახურის კარდინალური გარდაქმნა გამოიწვია. უწინარეს ყოვლისა, მისი მიზნების, ამოცანების თვალსაზრისით. უშიშროების სისტემა აღარ არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო და მისდამი დამოკიდებულებაც ამის შესაბამისად იცვლება. ჩვენი აღარ ეშინიათ და არც უნდა ეშინოდეთ. ჩემი ღრმა რწმენით, ამ სამსახურით ხალხი უნდა ამაყობდეს. მგონი ესაა მთავარი. და თუ ასე იქნება ნდობა და კეთილგანწყობა თანდათან მოვა.

**— და მიუხედავად ამისა თუ სწორედ ამიტომ თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ.**

— რა თქმა უნდა: ასეთია ჩვენი მუშაობის სპეციფიკა. მით უფრო, რომ ეს საქმე არის ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების დაცვა თვისებრივად ახალ საფუძველზე.

**— მაგრამ ისტორიას, თუ ისტორიულ მეხსიერებას ასე ერთბაშად ხაზს ვერ გადავუსვამთ. თანაც, ვართ გარანტირებული „ჩეკისტური ტრადიციების" რეციდივებისგან?**

— ამ შეკითხვას სერიოზული პასუხი სჭირდება და უნდა მაპატიოთ, თუ მოკლედ ვერ გეტყვით სათქმელს.

მოდით, დინჯად გავარკვიოთ. ალბათ, უნდა დავიწყოთ იმით, რომ სპეციალური სამსახური (კლასიკური გაგებით სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობა) ყოველი მაღალგანვითარებული სახელმწიფოს განუყოფელი ატრიბუტია. სრულყოფილი და ცივილიზებული სახით ასეთი სამსახურები უცბად არ შექმნილა. მათი ისტორია ისეთივე რთული და ხანგრძლივია (ზოგ შემთხვევაში — მტკივნეული) როგორც ქვეყნის ისტორია.

საქართველოში საგანგებო სამსახურის მსგავსი სახელმწიფო აპარატი „მსტოვართა ინსტიტუტი" — დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში შეიქმნა. ქვეყნის დაცემისა და მისი სახელმწიფოებრიობის მოშლის პირობებში კი მთლიანად დაიკარგა. 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში ასეთი სამსახური არ ჩანს, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ქვეყნის შემდგომი ბედისათვის. რაც შეეხება მომდევნო, საბჭოთა პერიოდის შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, მათ ვერ მივიჩნევთ ქართული სახელმწიფოს საგანგებო სამსახურებად: ეს იყო საკავშირო უწყების ერთი რგოლი და მეტი არაფერი. ორივე მმართველი ელიტის ხელში რეპრესიული იარაღი იყო. ხაზს ვუსვამ: იყო იარაღი, შემსრულებელი და არა ავტორი მასობრივი რეპრესიების. ვფიქრობ, ისე არ გამიგებთ, რომ ვცდილობ შინსახკომისა და სუკის დანაშაულებრივი საქმიანობის გამართლებას. სრულებითაც არა, ჩვენ ეს არც გვაინტერესებს, რადგან უშიშროების სამინისტროს დღევანდელ შემადგენლობას პრაქტიკულად არავითარი კავშირი არა აქვს იმ საშინელი წლების ბოროტმოქმედებასთან.

**— მაგრამ ალბათ ვერც იმას უარყოფთ, რომ დისიდენტურ მოძრაობას სერიოზულად ებრძოდით.**

— არა, არც ვაპირებ უარყოფას. მე და ჩემს კოლეგებს არ გაგვაჩნია არავითარი პრეტენზია იმისა, თითქოს უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ეროვნული იდეებისათვის ბრძოლის ბარიკადებზე იდგა, ეროვნული მოძრაობის დამცველად გვევლინებოდა. (თუმცა იყო გამონაკლისები). სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით ეს პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველასათვის თუ არა, ბევრი ღირსეული მამულიშვილისთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში რაიმე აქტიურ მოქმედებას ეროვნული მოძრაობისა და მისი ინტერესების წინააღმდეგ არ განახორციელებდა, თუმცა ამ მიმართებით ცენტრის მოთხოვნა არ შენელებულა.

იქნებ აქ დავსვათ წერტილი, რადგან არ მინდა თქვენს მკითხველებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თავის მართლებასა და მუნდირის ღირსების დაცვას ვაპირებ.

**— დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს. საქართველოს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოდ გახდომის გზას დაადგა, ჭირდება უშიშროების სამსახური, იგი უნდა ჩამოყალიბდეს ამჟამინდელ ეტაპზე, თანაც გადაუდებლად და სრულყოფილი სახით. ასეთია თქვენი პოზიცია, და ეს გასაგებია, მაგრამ არსებობს კი საამისო პირობები?**

— რახან ჩემი პოზიცია ახსენეთ, დავუმატებდი, რომ ამ სამსახურის არსებობის აუცილებლობას განაპირობებს აგრეთვე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ის სახიფათო პროცესებიც, რომლებიც ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში მიმდინარეობს.

ახლა კი პასუხი შეკითხვაზე. დიახ, საჭირო პირობები ჩვენთან არსებობს.

რას ვგულისხმობ?

— უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ უშიშროების სამინისტრომ უკანასკნელ წლებში ფსიქოლოგიური დაწოლისა და ხელისუფლების მიერ ხალხთან მისი დაპირისპირების მცდელობის პირობებშიც კი თითქმის დაუკარგავად შეინარჩუნა პროფესიონალები, არ დაუშვა ოპერატიული პრობლემების გაშიფვრა. კადრები კი იდეალური საქმიანობის უპირველესი გარანტიაა. იქნებ არ იყოს ინტერესმოკლებული მონაცემები, რომლებიც ჩვენს კადრებს ეხება და რომელთა გამოქვეყნებას „ღია პრესაში" პირველად გთავაზობთ. ადრე ამ სტატისტიკას ჩვენი კომიტეტის შიგნითაც არ იცნობდნენ.

უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა აბსოლუტური უმრავლესობა ოფიცერთა კორპუსია, მათ შორის 91 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. რომელთაგან 98 პროცენტს მიღებული აქვს პროფესიული ცოდნა სპეციალიზებულ სკოლებსა თუ სასწავლებლებში. თბილისში მომუშავე ოპერატიულ თანამშრომელთა 23 პროცენტი ფლობს ერთ ან ორ უცხო ენას. სამინისტრო თითქმის მთლიანად ქართულია. ჩვენი მუშაკების ეროვნული თანაფარდობა ასეთია: ქართველი 83 პროცენტია, რუსი — 8, სომეხი — 2,9, აფხაზი — 2,8, ოსი — 1,4. ხელმძღვანელ მუშაკთა საშუალო ასაკი სადღეისოდ 44 წელია, ხოლო 30-დან 40 წლამდე ასაკის მოსამსახურეთა პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი — 80, ე. ი. ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა და ქმედუნარიანია. მათ სულ ცოტა 10-15 წლის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება აქვთ და ამდენ ხანს მაინც კიდევ იმუშავებენ. ეს კი ნიშნავს, რომ საკმაო დრო გვაქვს ხალი თაობის მოსამზადებლად ქართულ სპეციალიზებულ სასწავლებლებში. პირველი ასეთი სასწავლებელი ამ შემოდგომაზე დაიწყებს ახალგაზრდების მიღებას.

**უშიშროების სისტემა აღარ არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო**

მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ ხალხის ნდობა გვჭირდება, რწმენა იმისა, რომ თავისუფალი საქართველოს უშიშროების დაცვისთვის ვართ მოწოდებული. სხვა მიზანი და სხვა აზრი ჩვენთვის არ არსებობს.

რასაკვირველია, ჩვენი საქმიანობა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გარეშე წარმოუდგენელია. ძნელია ახლა ამაზე ლაპარაკი, როდესაც ყველაფერი, რაც გვაჩნდა, დაიწვა. მაგრამ, მთავრობამ უკვე გადმოგვცა ახალი შენობა, გამოგვიყო სახსრები. ისე, რომ საფუძველი სოლიდურია. დანარჩენიც იქნება.

**— ბატონო ანზორ! სუკის არქივების გახსნის თაობაზე რა აზრისა ხართ? განსაკუთრებით თქვენი საიდუმლო თანამშრომლების სიების გამოქვეყნებაზე?**

— იყო ასეთი მოწოდებები, თანაც არაერთხელ. ძალიან ძნელია დაარწმუნო ამ მოწოდებათა ავტორები, რომ მათი მოთხოვნების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია არა მხოლოდ ოპერატიული, არამედ წმინდა პოლიტიკური და ზნეობრივი მოსაზრებებით. შევეცდები ნაწილობრივ მაინც ავხსნა ის მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ სამინისტროს პრინციპულ პოზიციას ამ საკითხში და, ამავე დროს, მთელი კატეგორიულობით განვაცხადო, რომ სანამ საქართველოში არსებობს უშიშროების სამსახური, არ მოხდება საიდუმლო თანამშრომლების გვარების გაშიფვრა და საზოგადოებისათვის მათი მონაცემების გაცნობა.

**— რამდენად შეესაბამება სინამდვილეს „აგენტების სია", რომელიც გაზეთ „ქართულ აზრში" დაიბეჭდა?**

— ამ ე. წ. აგენტების სიას სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ეს არის ექსპრეზიდენტის ერთგული მომხრეების მორიგი შანტაჟი და პროვოკაცია, რომლებიც ცდილობენ დღევანდელ საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაციას.

**— გაზეთმა „საქართველომ" გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელშიც წერია, რომ გამსახურდიას პარლამენტში თქვენი და შინაგან საქმეთა სამინისტროს 86 აგენტი იყო. ამაზე რას იტყოდით?**

— კომენტარისგან თავს შევიკავებდი.

საწუხარო სხვა საკითხია.

ჩვენმა უკუღმართმა ცხოვრებამ ყველა სხვა უბედურებასთან ერთად საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისადმი დამახინჯებული წარმოდგენები ჩამოგვიყალიბა. ამის შედეგია ისიც, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებული, ჩვეულებრივი და ნორმალური სიტყვა „აგენტი" ჩვენთან სამარცხვინო და სალანძღავ ცნებად იქცა და დღეს იგი მოღალატისა და სამშობლოს გამყიდველის სინონიმად იხმარება.

მსოფლიოს ყველა ცივილიზებული თუ ნაკლებ ცივილიზებული სახელმწიფოს სპეცსამსახური, დაზვერვა იქნება ის თუ კონტრდაზვერვა, თავისი ამოცანების შესრულებისათვის ეფექტიანად იყენებდა და იყენებს საიდუმლო თანამშრომლების, ე. წ. „აგენტების" ინსტიტუტს. და არსად ასეთი თანამშრომლობა სირცხვილად არ ითვლება, მით უმეტეს — დანაშაულად. პირიქით, ისეთი უძველესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყნების მოქალაქენი, როგორიც არის ჩინეთი, იაპონია, სკანდინავიის სახელმწიფოები და ა. შ., თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევენ ამ ქვეყნების დაზვერვისა თუ კონტრდაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობას.

სხვაა, რასაკვირველია, თანამშრომლობა ყოფილ სსრკ სუკთან. აქ ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუ არა ის პატიოსანი, განათლებული და შეგნებული ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ან საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ მათთან, ვინ იცის, კიდევ რამდენი ტრაგედია და უბედურება დაატყდებოდა თავს ქართველ ერს.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ახლო თუ შორეული წარსულის ქექვა, ცალკეული ადამიანების სულში და მათ ცხოვრებაში ხელის ფათური, დღეს ჩვენს საზოგადოებას ვნების მეტს არაფერს მოუტანს და იგი კიდევ უფრო გააღრმავებს ერში არსებულ დაპირისპირებას, გამოიწვევს ახალ კატაკლიზმებს. ამის მაგალითები უამრავია ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც. დღეს ყველა ჩვენგანის ვალია ხელი შევუწყოთ სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, ერის სულიერ აღორძინებას, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას. ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ხალხის მიმტევებლური ხასიათი, მისი მდიდარი ჰუმანისტური ტრადიციები და რაინდული სული, რაც უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის ერთიანობის და აღორძინების საფუძველი.

დიდი სიფრთხილე გვმართებს საარქივო მასალების პუბლიკაციის დროსაც. ჩვენი არქივები კი კარგა ხანია გახსნილია სპეციალისტებისთვის 20-50-იანი წლების მასალების გასაცნობად.

უშიშროების სამინისტრო ამჟამად სტრუქტურული დახვეწის და ჩამოყალიბების პროცესშია. როგორც ყველგან, ჩვენთანაც ხდება მორალურ-ფსიქოლოგიური გარდატეხა, მაგრამ ჩვენი თანამშრომლების უმრავლესობა დღეს მზადაა თავის ქვეყანას მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, ქვეყნის ყველა მოქალაქე მხარში ამოგვიდგება იმ სერიოზული ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც ახალ პირობებში ჩვენს წინაშეა დასახული.

**— რახან ასეთი გულახდილობაა, იქნებ უთხრათ ჩვენს მკითხველებს, რა მთავარი მიმართულებებით იმუშავებს სამინისტრო?**

— გეტყვით. დაზვერვა, კონტრდაზვერვა, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა.

ზოგ რამესაც განვმარტავთ. დაზვერვის ძირითადი ფუნქციაა ისეთი სრული და ობიექტური ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს შეიმუშაოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები საგარეო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. იგი გამოავლენს აქციებს, რომლებიც უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგაა ჩაფიქრებული, დაზვერვის სპეციფიური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შეეცდება გავლენა მოახდინოს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, პოლიტიკურ და საქმიან წრეებზე, საქართველოსთვის ხელსაყრელ საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოფს საქართველოს დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლობათა უშიშროებას.

კონტრდაზვერვის ამოცანაა პოტენციური მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლა, გამოაშკარავება, სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობის ნებისმიერი ფორმის — დივერსიის, შპიონაჟის აღკვეთა, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, სამხედრო და სხვა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა; მან უნდა აიცილოს სპეცსამსახურების მცდელობა შეაღწიონ თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე და სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების ობიექტებზე ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. შემდეგ: საიდუმლოებათა გამჟღავნების აღკვეთა, სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების რეალიზაციისა და საბაზრო ურთიერთობების რეგულირებისა და სრულყოფისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ხელისუფლების ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ეკონომიკური და კომერციული საიდუმლოებების დაცვა.

**— ყველა ეს ამოცანა იმ არასტაბილურ და კრიმინოგენულ სიტუაციაში, რომელშიც ვიმყოფებით, ალბათ ბევრად გართულდება, თანაც ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა თქვენს ფუნქციებში შედის.**

— რასაკვირველია. მაგრამ არა მარტო ეს, აქ კიდევ ბევრი ასპექტია. მაგალითად, არსებულმა სიტუაციამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა არა მარტო ტერორიზმის, არამედ სეპარატიზმის განვითარებას, სეპარატიზმისა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს გახლეჩას და დანაწევრებას. არსებული მონაცემებით საზღვარგარეთის რიგი სპეცსამსახურები ცდილობენ აქტიურად გამოიყენონ ეს მდგომარეობა შემდგომი დესტაბილიზაციის მიზნით. ყოველივე ამითაა ნაკარნახევი სამინისტროს სტრუქტურაში ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის ჩამოყალიბება. იგი დაგეგმავს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება ორგანიზებული დანაშაულის საშიში ფორმების წინააღმდეგ, გამოავლენს იმ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, კორუფცირებულ ელემენტებს, რომლებიც მოქმედებენ რესპუბლიკის მმართველობით ორგანოებში, უწყებებში, წარმოება-დაწესებულებებში და ზიანს აყენებენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს; დაიცავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს; გამოააშკარავებს ღრმად კონსპირირებულ, განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, პროფესიულ დამნაშავეთა ფორმირებებს, რომლებიც შეეცდებიან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას სახელმწიფოს წინააღმდეგ, გამოიყენებენ ტერორისტულ ან სხვა მეთოდებს ძალადობისათვის, გამოიწვევენ სოციალურ-პოლიტიკურ დაძაბულობას საზოგადოებაში, ნეგატიურ პროცესებს, გააღვივებენ ეროვნებათშორის შუღლს, უბიძგებენ მოქალაქეებს ტერორისტული და ექსტრემისტული აქციების განსახორციელებლად. იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი, მომწამლავი და ნარკოტიკული ნივთიერებების რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა და, აგრეთვე, იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც ეწევიან იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებას, შესყიდვას და გასაღებას, აგრეთვე ამ სამსახურის მოვალეობაა.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩვენს ფუნქციებში შედის რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სისტემატური და დროული ინფორმირება ფართო სპექტრის პოლიტიკური და სოციალური პრობლემების შესახებ, იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჩვენ მივაწვდით მათ ინფორმაციას არა მარტო იმ ფაქტებისა და მოვლენების თაობაზე, რომლებიც ქმნიან პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროებას, არამედ ისეთსაც, რომელიც დაეხმარება არსებულ პრობლემათა გადაჭრაში.

მკითხველებს მინდა ვაუწყო, რომ ჩვენ არ ჩავიკეტებით საკუთარ ნაჭუჭში. უცხოეთის სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან საქმიან კონტაქტებს დავამყარებთ, გავცვლით ინფორმაციას ნარკობიზნესთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, რესპუბლიკაში იარაღისა და მომწამლავი ნივთიერებების უკანონოდ შემოტანის აღკვეთის მიზნით.

ჩვენი საუბარი შეგვიძლია დავამთავროთ იმით, რომ უშიშროების სამინისტრო იწყებს მიზანმიმართულად საქმიანობას, რათა კეთილი სახელი დავუბრუნოთ იმ ადამიანებს, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ. მხედველობაში მაქვს ის საქმეები, რომლებიც ე. წ. სამეულების მიერ და სხვა უკანონო ფორმებით იქნა აღსრულებული. მინდა გაუწყოთ, რომ ჩვენ უკვე მოვახდინეთ 40.000-ზე მეტი პიროვნების რეაბილიტაცია და ეს საქმე ამჟამადაც გრძელდება.

მომავალში, მსგავსი მოვლენები რომ აღარ განმეორდეს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. უახლოეს მომავალში პრესაში გამოქვეყნდება კანონპროექტი უშიშროების ორგანოების შესახებ. იმედი გვაქვს, ფართო საზოგადოება გამოთქვამს თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს მის თაობაზე.

---

რამდენი იმპერია ცდილობდა თავისი კულტურით, ენით, მრწამსით, სახელმწიფოო წყობითი სისტემებით გაბატონებულიყო კავკასიაში და დაემორჩილებინა იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხი, მაგრამ იბერიელ-კავკასიელნი მედგრად იბრძოდნენ თავისუფლებისთვის, თავიანთი თვითმყოფადობისთვის. ამის მიზეზი კავკასიელი ხალხის ტრადიციული ეროვნული თვითშეგნება, რწმენა და კულტურა გამხდარა.

**თვალსაზრისი**

# ტრადიცია ერის სულის სარკეა

„საქართველოს კულტურის გამოსაკვლევად მარტო სამიწყლო ეროვნული საზღვარი არ კმარა, მის ვრცელ, სასიცოცხლოდ ვრცელ შეხედულებას დაბადების დღიდანვე უფრო ფართო, საქართველოზე გადაჭარბებული საძირკველი აქვს ჩადგმული" (აკადემიკოსი ნიკო მარი), ისე რომ, ქართული ტრადიცია — **ზარდმონაჭესი** არ შეიძლება განვიხილოთ საერთო იბერიულ-კავკასიური ტრადიციის გარეშე.

ტრადიცია ერის სულის სარკეა. ისეთი სარკე, სადაც ყველა ვერ ჩაიხედავს, ანდა, ყველა ვერ დაინახავს იმ სულს, რომლითაც ერი სულდგმულობს. ამას მხოლოდ ის ხედავს, ვისაც ერის ტკივილი თავის ტკივილად მიაჩნია. ხოლო მათ, ვისაც თავისი პოლიტიკური ზრახვებისთვის ტრადიციის გამოყენება სურთ და ერის ისტორიული ცხოვრების რომელიღაც მონაკვეთს, ერის მთლიან სახედ განიხილავენ და ამით საქართველოს გადარჩენა სურთ, ძალიან შეცდარან. ასეთი ქართველნი ძალაუნებურად ყოველთვის მომხდური მტრის კლანჭებში ხვდებოდნენ.

დამპყრობლის ინტერესების გამტარებელნი ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ტრადიციული ზნე-ჩვეულებები, მართვითი სისტემები, მმართველთა ტრადიციული სახელწოდებანი ამა თუ იმ დამპყრობლის სახელმწიფო სამსახურში ჩაეყენებინათ და ამით ხალხისათვის თვალი აეხვიათ, აქაოდა ქართულ საქმეს ვაკეთებთო. თუ ეს არ გამოსდიოდათ, ეროვნულ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, მავნე ჩვეულებად, ჩამორჩენილად აცხადებდნენ და აქტიურადაც დევნიდნენ ხალხის მეხსიერებიდან.

ტრადიცია კი ყოველთვის მოქმედია. ის ერის სულის მატარებელია. ათასწლეულებში გამოვლილ-გამობრძმედილი არსებობს, სანამ ერი არსებობს დედამიწაზე. მითუმეტეს ისეთი ძირძველი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მდიდარი კულტურის მქონე, როგორიც იბერიულ-კავკასიურია. ხოლო ერისკაცებმა, მამულიშვილებმა, რომელნიც ერის სამსახურში დგებიან, კარგად უნდა გაარკვიონ, ზერელედ ნუ შეხედავენ ერის ზნეობას, რომელიც ტრადიციით არის ნასაზრდოები. ისინი ყოველთვის იმის ცდაში უნდა იყვნენ, რომ ერში ეროვნული ტრადიციები წინ წამოსწიონ, გააღრმაონ და თანამედროვეობის მონაპოვარი ისე მიუსადაგონ, რომ ამით ერს არ ავნონ. ერის კულტურა, ზნეობა, თანამედროვე [illegible] მისაწვდომი, მოხერხებული გახადონ.

პიროვნება, რომელიც ეროვნული ტრადიციით იკვებება, ერის სულიერი ვილის გამტარი ხდება. მასში მთელი ერის სათქმელი იბუდებს. ასეთი კაცნი გამოჩნდებოდნენ გასაჭირის ჟამს ერის წინამძღვრად და მათი ღვაწლი ერს მალამოდ მოეცხებოდა ხოლმე.

ძალიან გვაკვირვებს დღევანდელი ზოგიერთი ქართველის გამოთქმა „როდის უნდა გავხდეთ ცივილიზებული ერი?"

ასეთი ქართველი საერთოდ არ არის მიახლოებული თავისი ერის ფენომენს: ზნეობას, ტრადიციას.

ცივილიზებული ერი? — რას გულისხმობენ, ან ვის გულისხმობენ თვითონაც არ უწყიან. დღეს მსოფლიოში, რომელი სახელმწიფო უკარნახებს ერის ფუნქციებს?

იბერიულ-კავკასიური ტრადიციული სულიერი თვალთახედვიდან ვერც ერთი, რადგან სახელმწიფოთა მმართველობის მოწყობის სტრუქტურული ფორმა შეესაბამება თავისუფალი ეროვნული საზოგადოების მმართველობის წყობით ფორმებს.

სახელმწიფო ძალაზე დაყრდნობილი ფიზიკური ორგანიზმია, ხოლო ერი კი სულიერებით, ენით, ზნეობით, ტრადიციით, კულტურით, ჯიშით, თავისი მამულის სიყვარულით, თავისუფალი ეროვნული მმართველობის წყობით ფორმით შეკრულ-შეკავშირებული, ესე იგი ერთი მთლიანი, უკვდავი, ბრძენი, სულიერი არსებაა.

ყოველი რელიგიის მოძღვრებანი, დიდი სულიერი მოძღვარნი ღაღადებდნენ, პიროვნების მე-ს გამოსარკვევად, შეიცან თავი შენი, შეიცან თავი შენით. დიახ, ბატონებო, დღევანდელ სახელმწიფოს, საერთოდ სახელმწიფოთა მართვით სისტემებში მოქცეულ პიროვნებას თავისი თავის შეცნობა გასჭირვებოდა და გასჭირვებია, ხოლო იბერიულ-კავკასიური ტრადიციული სათემო სამართლებრივ-ეროვნული მართვის შესაბამისი სიტყვა „თავისუფალი", რომელ ენებში მოიძებნება თავისუფლების აღმნიშვნელი სიტყვა ისეთივე შინაარსით, როგორც ქართულში, სადაც პიროვნება და ღმერთი ერთად დგას, როგორც ის და მისი სხივი.

ან დავუსახელოთ ერი, სადაც იარაღი ისევე იყოს მორგებული ეროვნულ ტანსაცმელს, როგორც კავკასიაში.

უიარაღოდ კავკასიელი სახლიდან გარეთ არ გავიდოდა, რადგან იარაღი ნამუსის, მისი კაცობის, თავისუფლების სიმბოლო იყო და არის.

დიახ, აქ პიროვნება იგივე მთლიანი ერია და მასზე ასხმული იარაღი ერის თავისუფლების, ერში მისი თავისუფლების სიმბოლოა.

პიროვნული სული კავკასიაში ვერავითარმა შემოჭრილმა სახელმწიფო მართვითმა სტრუქტურებმა ვერ დაიმონა. მხოლოდ ფიზიკურად ახერხებდნენ დატყვევებას, რასაც დაპყრობა ჰქვია და არა დამონება.

შეიძლება ისტორიის ქარტეხილებმა დაგვიზიანა ეროვნული, ტრადიციული, საზოგადოების მართვის სტრუქტურები, მაგრამ დაშინება სრულ მოშლას არ ნიშნავს.

დღეს კი, როცა ტექნოკრატიულ მსოფლიოში ერების თვითგამორკვევა დაიწყება, ყველა ხალხი თავის ეროვნულ თვითგამორკვევას ცდილობს, რადგან მსოფლიომ ტექნოკრატიის აღზევებით სულიერება დაკარგა.

მაშინ მივხვდებით, თუ რა ძვირფასი, ხელშეუხებელი საგანძური მარგალიტები გვქონია, რომ იბერიულ-კავკასიელთა წინაპართ ფუჭად არ უცხოვრიათ წუთისოფელში.

დღევანდელ ქართველთ, ყოველ კავკასიელს მოგმართავთ, შეიცნოთ თავი თქვენი და ერი თქვენი, თუ გინდათ გახდეთ კაცნი. კაცნი, რომელზეც ბრძნული ხალხური გამოთქმა ამბობს:

„ესეა წუთისოფელი: მზე ჩავა, მთვარე ამოვა, განა სუყველა კაცია? — ათასში ერთი გამოვა".

მხოლოდ კაცურ კაცებს შეუძლიათ ერს თავისუფლება მოუხვეჭონ. მხოლოდ ნათელ კაცთ, ხალხის წარჩინებულთ აქვთ უფლება ერს წინამძღოლობდნენ.

წარჩინებული? — ისე არ გავიგოთ, თითქოსდა, საზოგადოების რომელიღაც ფენას ვგულისხმობდეთ, არა, ბატონებო.

წარ-ჩინებული, წარ-ჩენა, იგივე წარმდგენას, გამოჩენას ნიშნავს, როცა პიროვნებას, სოფელი, თემი ან ერი წარადგენს თავკაცად და დაავალებს ქვეყანაში სიმშვიდის, სამართლის დაცვას, თავისა და ერის ბედს მიანდობს. თავკაცი კი, სოფლისა იქნებოდა თუ ერისა, სახე იყო თავისი ხალხისა, გამოირჩეოდა: სიმშვიდით, სიდარბაისლით, სიბრძნით, უშიშარობით, ერის უანგარო სიყვარულით, ანუ თავდადებით. აი, ასეთ კაცზეა ხალხური ნათქვამი:

„სოფელს ატირდა დედანი:
„სოფლის თავკაცი კვდებაო,
ნუ მოხკლავ, დამბადებელო,
სოფელი წაგვიხდებაო".

კიდევ ერთხელ დადგა ჟამი ჩვენი თვითგამორკვევისა, ეროვნული თავისუფლებისა. ეროვნულმა სულმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავისი არსებობა. ხოლო ქართული საზოგადოებრიობა მოუმზადებელი შეხვდა მეოცე საუკუნის კიდევ ერთი სულთამხუთავი იმპერიის დაშლის პროცესს, რასაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა გვიდასტურებს.

დღეს უნდა ვეცადოთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ერის ხასიათს, ზნეობას, და ტრადიციაზე დაყრდნობით მოვნახოთ ხალხური არჩევითობის, ხალხის მართვის ის სტრუქტურული ფორმა, რომელიც ერს შეაკავშირებს.

თავის მხრივ საზოგადოება „კავკასიელი" შემდგომში შემოგთავაზებთ ტრადიციულ მართვით სტრუქტურას.

იბერიულ-კავკასიური ტრადიციების აღდგენის საზოგადოება „კავკასიელის" სახელით

**ავთანდილ ვერძეული.**

---

# ყურადღება: კაცი შველას ითხოვს!

**გია ჭელიძე**

„...კარგად მესმის — ქართველმა კაცმა, რომელიც ამ წერილს წაიკითხავს, შესაძლოა დამძრახოს კიდეც და თქვას: — ვინ არის ასეთი, ახლანდელი დაძაბულობისა და არეულობის ჟამს საკუთარ გაჭირვებაზე რომ წერს, განა ახლა ამის დროაო?!

მაგრამ გამიგეთ, შემიბრალეთ, გამოიჩინეთ ადამიანური შეწყალება, რადგან სიცოცხლის დარჩენილ დროს მე ვითვლი არა წლებით ან თვეებით, არამედ დღეებით.

დღეს მე ვცხოვრობ აუტანელ პირობებში, ნახევრად მშიერი, სიცივით ვიყინები, ჩემი პენსია 220 მანეთი ხომ ადამიანის აბუჩად აგდებაა და სხვა არაფერი. ზოგჯერ ვოცნებობ კიდეც — ნეტავ ისევ იქ, შორეულ იმიერპოლარეთში, ყინულოვან ნორილსკში დავმარხულიყავ ისე, როგორც უამრავი ჩვენი თანამოძმე, სპეტაკი და პატიოსანი ადამიანი.

ამ წერილს თუ თხოვნას იმიტომ გაწვდით, რომ იმედი მაქვს გააცნობთ ვინმე ხელმძღვანელ პიროვნებას, რომელიც დახმარების ხელს გამომიწვდის".

ასე ამთავრებს წერილს ჩვენი რედაქციისადმი ქ. სენაკის მკვიდრი, ელიავას ქ. № 8-ში მცხოვრები კონსტანტინე კოკაია, რომელსაც თავისი საუკეთესო წლები იმიერპოლარეთში, ღრმა ტაიგაში, საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში გაუტარებია. 1955 წელს ბატონი კონსტანტინე, როგორც რეაბილიტირებული, პარტიაშიც კი აღუდგენიათ, მაგრამ ვერც მაშინ და ვერც შემდეგ ვერავინ მოიცალა იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მწარე ხვედრი. არავითარი ყურადღება, თანადგომა. განა რა არის „რეაბილიტაცია?

— მარტო ფარატინა ქაღალდი? სამწუხაროდ, ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც, როდესაც იმ რეაბილიტირებულთაგან სულ რამდენიმე ათეული კაცი შემოგვრჩა ცოცხალი.

...თქვენ ვერ წარმოიდგენთ, აღნიშნავს ბატონი კონსტანტინე, რამდენი დოვლათი და სიმდიდრეა შექმნილი ჩვენი ტუსაღური შრომით, ეს ნაშრომ-ნაჭამარი სტალინსა და ბერიას ხომ არ წაუღიათ საფლავში. ეს ყველაფერი მემკვიდრეობით აღმოჩნდა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ხელში და მილიონობით ნომენკლატურული მუშაკის კეთილდღეობას მოხმარდა. ჩვენ კი, ვინც შევქმენით ეს სიმდიდრე, სამარცხვინოდ გაგვიხადეს საქმე. იქნებ ვინმემ გაიკითხოს მაინც. როგორ ცხოვრობენ ჰიტლერის, მუსოლინის, პინოჩეტისა თუ სხვათა მიერ თავის დროზე რეპრესირებული ადამიანები, როგორ ყურადღებას იჩენენ მათ მიმართ ხელისუფალნი?

ეჰ, ბატონო კონსტანტინე, ვინ იცის, რამდენი თქვენისთანა განაწამები კაცი ითხოვს დღეს შველასა და თანადგომას, მაგრამ სიყვარულისთვის, მოძმისათვის მოიცალა კი საქართველომ?. დღეს ძმათა მოძულეობა, სისასტიკე, გაუტანლობა, გულქვაობა არის ჩვენი თანამგზავრი, განა ასე არ იყო ახლახან თვით თქვენს მშობლიურ სენაკში? ასე იყო სხვაგანაც, მთელ საქართველოში...

ახლა, როცა თანადგომის და ურთიერთმიმტევებლობის იმედის ნაპერწკალი გამოკრთა, როცა საქართველო მსოფლიოს ხალხების ყურადღებისა და დახმარების ცენტრში ექცევა, ვფიქრობთ, ისევ აღდგება ქართული ზნეკეთილი სული, თვისტომის სიყვარული, მხოლოდ ასე ეშველება კაცსაც და ქვეყანასაც.

მანამდე კი იმედი გვაქვს, რომ სენაკელთა დღევანდელი თავკაცი ბატონი შალვა კაკელია და მისი თანამდგომნი შემოგვიგზავნიან კეთილ სიტყვასაც და დახმარებასაც.

---

**• ქველმოქმედება**

# „გაგრის" სასიკეთო საქმეები

**იოსებ გოგეჩია**

**მესამე** წელია, რაც შეიქმნა საწარმო-სავაჭრო ფირმა „გაგრა", რომელსაც 45 წლის გაგრელი ბიზნესმენი სერგო აბაშიძე თავკაცობს. იგი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული დაწესებულებაა აფხაზეთში.

დღეისათვის ფირმის საქმიანობა კარგად არის ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი უმთავრესი მიზანია სიკეთე მოუტანოს მშობლიურ ქალაქს, გააძლიეროს მისი ეკონომიკა.

იგი უკვე თანამშრომლობს და დამოუკიდებელი კომერციული ურთიერთობა აქვს ფინეთის, ავსტრიის, თურქეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის მსხვილ სავაჭრო ორგანიზაციებთან.

ფირმის მესვეურები მოსახლეობის ფართო მოხმარების საქონლით უზრუნველყოფას უცხოეთის ქვეყნებთან საქონელგაცვლის გზით ახერხებენ. უკვე შემოიტანეს ქვანახშირი, ხე-ტყე, ლითონი, სასუქები, ქიმიური ნაწარმი, სურსათი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და რამდენიმე მილიონი მანეთის სხვა საქონელი, რომლის რეალიზაცია, ძირითადად აფხაზეთში ხდება. მიღებული 248 ტონა მაკარონი საბავშვო ბაღებს დაურიგდათ.

ფიქრობენ, რომ ძირითადი დახმარება პედაგოგებს აღმოუჩინონ და პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასებში მიჰყიდონ. ფირმამ თავისი ფილიალები გახსნა გალში, ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთში, გორში, აქვს საფირმო მაღაზია გაგრაში.

ქველმოქმედებას გზას უფრო და უფრო უხსნიან... საგრძნობ მატერიალურ დახმარებას უწევენ ავღანეთის ომში დაღუპულთა თუ მონაწილეთა, ასევე მრავალშვილიან ხელმოკლე ოჯახებს, უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნეს ორი ახალგაზრდა. კოლხიდის საშუალო სკოლის შესაკეთებლად 203 ათასი მანეთი, ბზიფის საშუალო სკოლის ინვენტარის შესაძენად 15 ათასი მანეთი გამოყვეს, ხოლო ქალაქ გაგრის ზონის თითქმის ყველა სკოლას საჩუქრად 3-5 ათასი მანეთი გადასცეს. ფირმამ დახმარების ხელი გაუწოდა ფოთის ნავსადგურის დოკერებს და მათ მილიონი მანეთი გამოუყო.

ფირმას არც მშობლიური ქალაქის კულტურული ცხოვრება ავიწყდება, მისი თაოსნობით გაგრაში ჩამოყალიბდა დიდხანს მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ყველას დაენიშნა სათანადო ხელფასი, ხოლო საცეკვაო ფორმების შესაკერად და შესაძენად გადაირიცხა 300 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ყურადღებიდან არ გამორჩენიათ დასავლეთ საქართველოში სტიქიით დაზარალებული რაიონების დახმარება, რისთვისაც ერთდროულად გადაირიცხეს 500 ათასი მანეთი. შეიძინეს და საჩხერეში უფასოდ ჩაიტანეს საშენი მასალა, ხოლო 45 ათასი მანეთი გადასცეს გაგრის იმ სანატორიუმებს, სადაც თავს აფარებდნენ დაზარალებული ოჯახები.

ფირმის საქმიანობა მარტო ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. გაგრის განაპირა უბანში სასტუმროსთვის შეიძინა ძველი ნაგებობა, რომლის რეკონსტრუქცია ფინელების მონაწილეობით ხორციელდება და ზაფხულისთვის დამთავრდება. მისი ღირებულება ერთი მილიონი დოლარია, განზრახული აქვს რესტორან „გაგრიფშში" მოაწყოს დიდი „შოუ" ამერიკული და იტალიური პროგრამით. ამის შემდეგ ამერიკელ და იტალიელ ბიზნესმენებს საშუალება მიეცემათ საქართველოს ქალაქებში გახსნან თავიანთი საფირმო მაღაზიები. „გაგრის" ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ საქართველოს გაუკეთოს რეკლამა და მიიზიდოს უცხოელი ბიზნესმენები.

განზრახული აქვთ შეისყიდონ და რეკონსტრუქცია ჩაუტარონ ჯანმრთელობის კერების ძველ ნაგებობებს და ამ გზით ფართოდ მოჰკიდონ ხელი საერთაშორისო ტურიზმის დანერგვას.

ქალაქის საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და სამედიცინო ხელსაწყოების შესაძენად ფირმამ 50 ათასი მანეთი გადარიცხა. რამდენიმე ახალგაზრდას გზა გაეხსნა საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლში განათლების მისაღებად და სხვა.

ფირმის მესვეურთა აშენებულმა ოფისმა, გაგრის რუსთაველის პროსპექტი კიდევ უფრო დაამშვენა. ფირმას აქვს საკუთარი გაზეთი „მეცხრე ტალღა", რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის, ამასთან იგი მონაწილეობს ინგლისის სარეკლამო ჟურნალის გამოშვებაში, რომელიც მსოფლიოს 60 ქვეყანაში ვრცელდება. ამ ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება „გაგრის" სარეკლამო მასალები. ახლახან შეისყიდეს და დაამონტაჟეს უცხოური პოლიგრაფიული დანადგარები, რომლებიც მილიონი მანეთი დაჯდა. ეს ახალი საწარმო მალე დაიწყებს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ფირმასთან ამას წინათ გაიხსნა „ბიზნესკლუბი", სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები.

ერთიც უნდა ითქვას, გაგრა შავიზღვისპირეთის თვალმარგალიტია, მაგრამ დღეს იგი მოუვლელი, დანაგვიანებული და კეთილმოუწყობია. ფირმამ მიზნად დაისახა იზრუნოს და სათანადო წვლილი შეიტანოს საქალაქო მეურნეობის მოწესრიგებაში, გაგრის ადრინდელი ბრწყინვალებისა და იერის აღდგენაში.

ფირმა „გაგრის" კოლექტივი მარტო ტურიზმზე როდი ამყარებს იმედს. ჩვენი კომერსანტები სერიოზულად ემზადებიან უცხოელ პარტნიორებთან ერთად რამდენიმე საწარმოს გასახსნელად. ჩაფიქრებული აქვთ აგრეთვე ბოსტნეულის მოსაყვანად მოაწყონ უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი დამხმარე მეურნეობა.

„გაგრის" თავკაცები ოპტიმისტურად არიან განწყობილი, ისინი საბაზრო ურთიერთობის პირობებში კომპეტენტურად უძღვებიან საქმეს და გულწრფელად ზრუნავენ სიკეთე მოუტანონ მშობლიურ ქალაქს და მის მოსახლეობას.

● განსხვავებული აზრი

# რას ითვალისწინებს ალტერნატიული პროექტი?

**საქართველოს ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებამ შეიტყო, რომ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას შემუშავებული აქვს კანონის პროექტი პრივატიზაციის შესახებ, რომელიც თავისი შინაარსითა და საქმისადმი მიდგომით სრულიად განსხვავდება ჯერ კიდევ შარშან მიღებული და შარშანვე ამოქმედებული ანალოგიური კანონისაგან. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ კანონპროექტის გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა. მკითხველები კი გვთხოვენ მოკლედ მაინც გავაცნოთ მისი დედაარსი. ამის გამო „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს ეკონომიკის დარგში ბატონ რამაზ ოქრუაშვილს.**

**— როგორც ვიცით, პრივატიზაციის შესახებ კანონი შარშანდელი 1 ოქტომბრიდან მოქმედებს. რამ განაპირობა თქვენს მიერ მისი ალტერნატიული ვარიანტის ასე დაგვიანებით შემუშავება?**

— უწინარესად უნდა ითქვას, რომ კანონი ამოქმედდა მხოლოდ... ქაღალდზე. პრაქტიკულად კი იგი არ მუშაობს, რადგან არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. რაც შეეხება ჩვენი ალტერნატიული ვარიანტის ასე დაგვიანებით შემუშავებას, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ წინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დღეს უკვე ცნობილი და გასაგები მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. დღევანდელ ხელისუფლებასთან დაკავშირებით კი ვიტყვით, რომ ჩვენ პატივს ვცემთ წინამორბედთა შეცდომების გამოსწორებისათვის მის მცდელობას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: თუ პრივატიზაციისას სახელმწიფო ქონება ოპტიმალურად და სამართლიანად არ განაწილდა, ეს უახლოეს მომავალში ნოყიერ ნიადაგს შეუქმნის ძალის გამოყენებით მისი გადანაწილების მცდელობას. ე. ი. ნიადაგს მოვუმზადებთ კიდევ ერთ სოციალურ რევოლუციას.

დღეს ამის საშიშროება ცოტა გადაჭარბებულიც კი ჩანს, მაგრამ ხვალ იგი რეალური გახდება. მით უმეტეს, თუ შევეცდებით პრივატიზაციის განხორციელებას არსებული კანონის შესაბამისად.

**— იქნებ მოკლედ გვითხრათ, როგორია ალტერნატიულ ვარიანტის პრივატიზაციის მექანიზმის ძირითადი პრინციპები?**

— ჩვენ, ცხადია, სულაც არ ვლამობთ შემოსავლის განაწილების უკუღმართ სოციალისტ- [illegible]. მაგრამ მეწარმეობის [illegible] სასტარტო საშუალება ყველას თანაბრად უნდა მიეცეს. დასაწყისში აბსოლუტური სამართლიანობისა და თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია, ოპტიმალურისა — აუცილებელი. შემდგომში კი თავისუფალი ბაზრის კანონები ყველას თავის ადგილს მიუჩენს ყველაზე დიდი დემოკრატის — კაპიტალის მეშვეობით.

ჩვენი პროექტის უმთავრეს პრინციპებზე: სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო ნაწილი ფასდება საბაზრო ფასებით და ჯამი იყოფა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა რაოდენობაზე. მიღებული შედეგი არის იმ თანხის რაოდენობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს სერტიფიკატის სახით უნდა მიეცეს პრივატიზაციის პროცესში ქონების (საწარმო-დაწესებულებები, მანქანა-იარაღები, მიწა და სხვა) საკუთარი სურვილისამებრ შესაძენად.

წინასწარი გამოანგარიშებით სერტიფიკატის საორიენტაციო ღირებულება 80.000 მანეთამდეა. ეს ციფრი ქონების სრულყოფილი ინვენტარიზაციის შემდეგ დაზუსტდება.

სერტიფიკატი მოქალაქეებს გადაეცემათ შემდეგი წესით:

ზრდასრულ მოქალაქეს — სერტიფიკატის მთლიანი ღირებულება, არასრულწლოვანებს — მთლიანი ღირებულების 1/16, ნაწილი თითოეულ წელზე გაანგარიშებით; თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პატიმრებს სერტიფიკატი მიეცემათ გათავისუფლებისთანავე, თუ მანამდე სასჯელმისჯილი არ მოისურვებს სხვა პირისთვის მის გადაცემას. ინვალიდთა კუთვნილი სერტიფიკატები მიეცემათ თვითონ მათ, მომვლელ პირს ან ორგანიზაციას, ხოლო აღრიცხვაზე მყოფ ფსიქიურად დაავადებულთა კუთვნილი სერტიფიკატი — მეურვე პირს ან ორგანიზაციას.

### კონკრეტული მოსაზრებანი პრივატიზაციის მექანიზმის შესახებ

დასაშვებია სერტიფიკატის თავისუფალი გაყიდვა ან იპოთეკური ბანკების გამოყენება.

**— მაინც რა ძირითადი უპირატესობა აქვს პრივატიზაციის ამ მექანიზმს სხვასთან შედარებით?**

— ამ კითხვას ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე. იმასაც დავსძენ, რომ შეძლებისდაგვარად ყველას ხელში საკუთრების მოქცევა მომავალში საქართველოს სტაბილურობის გარანტიაა; საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისადმი გაზრდილი ინტერესი მაქსიმალურად აღკვეთს კონფლიქტების პროვოცირებას ეთნიკურ თუ სხვა ნიადაგზე; პრივატიზაცია ხორციელდება სწრაფად და შედეგსაც შესაბამისად უახლოეს დროში მივიღებთ; თავიდან ავიცილებთ რეალურ საფრთხეს, რომ ქონების უდიდესი ნაწილი მოხვდეს მხოლოდ იმ პირთა ხელში, ვისაც ფული გაუკითხაობის პერიოდში სხვადასხვა მაქინაციით აქვს ნაშოვნი.

და ბოლოს, საქართველოს დღეს, საუბედუროდ, ჯერ კიდევ არა აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბევრი ატრიბუტი, მათ შორის, საკუთარი საემისიო ბანკი, ფულის ერთეული და სხვა. ამჟამად საქართველოს ქონების რუსულ მანეთზე გაყიდვა ნეოკოლონიალიზმის ბადისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება და შედეგიც მალე შეგვახსენებს თავს, თუ მანეთის ბლოკის შექმნას დავთანხმდებით.

**— თქვენი აზრით, რა ძირითადი ნაკლი აქვს ალტერნატიულ პროექტს?**

— მოგახსენებთ რამდენიმე უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სერტიფიკატების საშუალებით პრივატიზაციის განხორციელებას. თუმცა ვფიქრობთ, მათი გადაჭრაც შესაძლებელია.

პირველი სერიოზული წინააღმდეგობა არის ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი დეფიციტის პირობებში გაძნელდება ხელისუფლების დაყოლიება — უარი თქვას ბიუჯეტის რეგულირების თუნდაც იმ ერთჯერადი ინიექციის პოტენციალზე, რასაც სახელმწიფო ქონების პირდაპირი გაყიდვით მიღებული შემოსავალი მოგვცემს. ამის გარდა „მკვდარი კაპიტალი" საფონდო ბირჟაზე უფრო სწრაფად ამოქმედდება, ვიდრე სერტიფიკატების შემთხვევაში. და ბოლოს, მექანიზმის თანმდევი მოვლენების ზემოქმედება ინფლაციურ პროცესებზე.

არ უარვყოფთ ამ პრობლემათა არსებობას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის შესავსებ მისატყუარზე უარი უნდა ვთქვათ, რადგან იგი უნდა დაბალანსდეს გაყიდვის შედეგად მიღებული საგადასახადო შემოსავლებით, შენახული ფული კი სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის პროცესში მაინც ამოქმედდება. რაც შეეხება ინფლაციას, სერტიფიკატის გაყიდვის შედეგად განაწილებული ათეული მილიარდი მანეთი, ცხადია, იმოქმედებს ინფლაციურ პროცესზე, მაგრამ დღევანდელ პირობებში, როდესაც რუსეთში ფულის საბეჭდი მანქანა გამალებით მუშაობს, ეს ალბათ ქვეყნიდან საქონლის გადინების შეჩერების ერთადერთი გზაა. მოსახლეობისთვის კი ფასების შესაძლო ზრდა უკვე იმდენად საშიში აღარ იქნება, რადგან მის ჯიბეში საკმაო რაოდენობის ფული აღმოჩნდება.

**— როგორ მიიღო ეს იდეა საზოგადოებრიობამ?**

— თავისი სპეციფიკურობის გამო, ბუნებრივია, ეს მექანიზმი ხალხის უდიდეს ნაწილს მოსწონს. მაგრამ იმისთვის, რომ იგი იყოს რეალური ეკონომიკური ღონისძიება და არა პოპულისტური ლოზუნგი, ამ ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სპეციალისტთა და ექსპერტთა აზრი. ვსარგებლობთ შემთხვევით, და მოკრძალებით ვთხოვთ მათ ამ საკითხზე საკუთარი აზრის გამოთქმას.

---

# გვექნება ეროვნული პატენტი

**საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო ცნობამ, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების აუცილებლობა, მათ შორის ეროვნული საპატენტო სამსახურის შექმნა და ამოქმედება.**

ბოლო პერიოდამდე სამრეწველო საკუთრების (გამოგონება, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი) დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მართვა მეტროპოლიის პრეროგატივა იყო. საქართველოს ამ სფეროში არ ჰქონია საკუთარი ორგანო, რესპუბლიკაში არ გაიცემოდა სამრეწველო საკუთრების დამცავი დოკუმენტები, არ არსებობდა ეროვნული საკანონმდებლო ბაზა.

16 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დამტკიცდა დებულებები გამოგონების, სამრეწველო ნიმუშისა და სასაქონლო ნიშნის შესახებ.

დებულებით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში სამრეწველო საკუთრების დაცვის საპატენტო სისტემის შემოღება. ამ სისტემის ფუძემდებელი პრინციპია პატენტმფლობელის (რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი) ინტელექტუალური შრომის შედეგის მესაკუთრედ აღიარება. ამდენად იქმნება სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძველი სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ბაზრის ფორმირებისა და საგამომგონებლო საქმიანობაში კერძო ინიციატივის ასამოქმედებლად.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკის პატენტის გაცემა ყოფილი საბჭოთა კავშირის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაცულ გამოგონებებზე და სამრეწველო ნიმუშებზე, რომელთაც აქვთ პრიორიტეტი 1972 წლის და, შესაბამისად, 1977 წლის 1 მაისიდან. ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარება სასაქონლო და მომსახურების ნიშნები.

რესპუბლიკაში სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საქმიანობის წარმართვისა და ხელმძღვანელობისთვის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი". მის ძირითად უფლება-მოვალეობაში შედის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განაცხადების მიღება, ექსპერტიზის ჩატარება, დამცავი დოკუმენტების გაცემა, მათი მოქმედების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა, სალიცენზიო ხელშეკრულებების რეგისტრაცია, სახელმწიფო რეესტრის წარმოება.

„საქპატენტი" 1 მაისიდან იწყებს მუშაობას და განაცხადების მიღებას მერაბ კოსტავას ქ. № 47-ში, საქართველოს გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობაში.

**დავით გაბუნია,**
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე, „საქპატენტის" თავმჯდომარე.

---

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### ბეიკერის განცხადება

**შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა, თუ ბირთვული იარაღის მქონე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უარს იტყვის ბირთვულ იარაღზე და ამის შემდეგ სხვა სახელმწიფოს მხრიდან ბირთვული შანტაჟის საფრთხე შეექმნება, ამ საკითხს შეერთებული შტატები გაეროს უშიშროების საბჭოზე განსახილველად გაიტანსო.** ჯეიმს ბეიკერს არ დაუზუსტებია დაიცავს თუ არა შეერთებული შტატები ასეთ სახელმწიფოს თავისი ბირთვული ქოლგით. სახელმწიფო მდივნის განცხადებასთან დაკავშირებით, ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თქვა მინდა ბირთვულ საკითხებთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებთან ვითანამშრომლოო. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა კი აღნიშნა, უკრაინას ბირთვული იარაღი ჯერჯერობით იმიტომ სჭირდება, რომ რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიები შეაჩეროსო.

### ჯორჯ ბუშის მონაწილეობით

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მონაწილეობას მიიღებს სრულიად ევროპის პროცესის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა თათბირში, რომელიც ფინეთის დედაქალაქში გაიმართება ამა წლის 9-10 ივლისს.** ამას იუწყება ფინეთის სატელეგრაფო ბიურო თეთრი სახლიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მოელიან, რომ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელსაც ეწოდა „ჰელსინკი-2", შეიკრიბებიან ამჟამად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესში ჩაბმული ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის 51 სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

### გენშერის მემკვიდრე

**ჰანს-დიტრიხ გენშერის მემკვიდრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერის პოსტზე გახდება ეკონომიკის ახლანდელი მინისტრი იურგენ მელემანი.** ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და ამ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გამგეობის გაერთიანებულ სხდომაზე. მელემანის კანდიდატურას ხმა მისცა სხდომის 68 მონაწილემ, 12 — წინააღმდეგ, 5 — თავი შეიკავა.

### პრეზიდენტი არ დაეთანხმა

**სომხეთის უზენაესმა საბჭომ კვლავ უარყო რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ შემუშავებული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.** ამის შემდეგ მთავრობის მეთაურმა გაგიკ არუთიანმა გადადგომა გადაწყვიტა, მაგრამ სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი არ დაეთანხმა ამას, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, მან დეპუტატთა ნაწილს ბრალად დასდო რესპუბლიკის პოლიტიკური კურსისადმი წინააღმდეგობა. სომხეთის ხელმძღვანელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ უფლებამოსილებანი მას საშუალებას აძლევს გაატაროს ეკონომიკური კონცეფცია პრეზიდენტის ბრძანებულების სახით.

### „ტოიოტას" იძულებითი ნაბიჯი

**იაპონიის ავტომობილმშენებლობის კონცერნმა „ტოიოტამ" გამოაცხადა მანქანების გამოშვების შემცირების გეგმები.** ეს ნაბიჯი გამოიწვია ადგილობრივ და საზღვარგარეთის ბაზრებზე „ტოიოტას" პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებამ.

წარმოშობილი ფინანსური პრობლემების გადაჭრის მიზნით კონცერნის ადმინისტრაცია აპირებს გააუქმოს მუშაობა ღამის ცვლებში და ორ უახლოეს წელიწადში 20 პროცენტით შეამციროს ძირითადი და დამხმარე საწარმოების პერსონალი.

### „ყურანის" მთარგმნელი იძულებულია დაიმალოს

**ბიშკეკი ახალგაზრდა ფანატიკოსი მუსლიმანები მოითხოვენ ერნესტ ტურსუნოვის — ყირგიზულ ენაზე „ყურანის" პირველი მთარგმნელის მკაცრად დასჯას. მათ ავტორს ბრალად დასდეს არაბული სიტყვების, გამოთქმების დამახინჯება, გრამატიკული უზუსტობანი და წმინდა წიგნის ტექსტების მეტად თავისუფალი განმარტება.**

მათი აზრით, თარგმანის ავტორის მთავარი ცოდვა ის არის, რომ „ყურანის" ტექსტის თარგმნა სხვა ენაზე საერთოდ არ შეიძლება და მისი კითხვა მხოლოდ ორიგინალის ენაზეა აუცილებელი.

ერნესტ ტურსუნოვს ოფიციალური ბოდიშის მოხდაც არაფერს შველის. ერთი სიტყვით, პოეტმა თავისი ინიციატივისათვის უნდა ზღოს და ახლა იძულებულია დაიმალოს.

### მოითხოვეს უშიშროების საბჭოს მოწვევა

**კუბამ მოითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, რათა ამერიკის შეერთებული შტატები დაიყოლიონ გადასცეს ორი პირი, რომლებსაც ბრალად ედებათ 1976 წელს ბარბადოსის მახლობლად კუბის ორი სამოქალაქო თვითმფრინავის აფეთქება.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის რიკარდო ალარკონის წერილში, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა, ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების და განსაკუთრებით მისი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ კუბელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ჩამოთვლა შეუძლებელია".



„მოკრძალებული ოპოზიცია".

---

გავიცნოთ კაპიტალიზმი

# 2. მდიდარი აძლევს ღარიბს

## სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების წყაროები

**ომარ გოგიაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დასავლეთის ცივილიზირებულ ქვეყნებში სოციალური პროგრამების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სასარგებლოდ.

მატერიალური სიკეთის გადანაწილებას უწინარესად ექვემდებარება მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ნაწილის შემოსავალი. ეს ნათლადაც ჩანს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის იმ მონაცემების ანალიზიდან, თუ რა ხვედრითი წილი აქვს ყველაზე შეძლებული ადამიანების შემოსავალს ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში და აქედან რა რაოდენობის სახსრები ექვემდებარება გადანაწილებას მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის საჭიროებისათვის. თუ ავიღებთ მოსახლეობის ყველაზე მდიდარ 10 პროცენტს 1989 წლის მონაცემებით, ასეთ სურათს მივიღებთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე მდიდარი 10 პროცენტის შემოსავალია საერთო ეროვნული შემოსავლის 31,6 პროცენტი, გადანაწილებას ექვემდებარება 5 პროცენტი. კანადაში შესაბამისად 28,0 და 2,9 პროცენტი; საფრანგეთში — 33,7 და 3,3 პროცენტი; დიდ ბრიტანეთში — 26,9 და 6,4 პროცენტი, შვეციაში — 28,8 და 7,5 პროცენტი; ნორვეგიაში — 26,3 და 4,1 პროცენტი; ფინეთში — 28,4 და 4,9 პროცენტი; ნიდერლანდებში — 34,0 და 10,7 პროცენტი.

განვითარებულ ქვეყნებში შეძლებული მოსახლეობის შემოსავლიდან გადანაწილების დაქვემდებარებულ სახსრებში დიდი სხვაობა გამოწვეულია ამ ქვეყნებში მოქმედი განსხვავებული საგადასახადო სისტემებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო გავაფართოვებთ მდიდარი ხალხის კატეგორიას, ვთქვათ 10-ის მაგივრად ავიღებთ 20 პროცენტს, გადასანაწილებელი სახსრების პროცენტი შემცირდება. მაგალითად, თუ 10 პროცენტის ფარგლებში დიდ ბრიტანეთში გადანაწილებას ექვემდებარება შემოსავლის 6,4 პროცენტი, 20 პროცენტის ფარგლებში ის შემცირდება 4 პროცენტამდე. შემოსავლის სფეროში განვითარებულ ქვეყნებში საერთო ტენდენცია ასეთია — თანდათანობით მცირდება იმ სიმდიდრის ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ნაწილის 5 ან 10 პროცენტის მფლობელობაშია. შემოსავლის გადანაწილებას ღარიბების სასარგებლოდ ნაკლები ყურადღება ექცევა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 60-იან წლებში შეიმუშავეს „ომი სიღარიბეს" და „დიადი საზოგადოების" პროგრამები, სადაც უმნიშვნელოვანეს ამოცანად საზოგადოების ეკონომიკური კონსოლიდაცია იყო დასახული სიღარიბის თანდათანობითი ლიკვიდაციის საფუძველზე. მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სასარგებლოდ შემოსავლის გადანაწილების სწრაფ ტემპზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ამ თანხამ 600 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ბუნებრივია, რომ ეს უზარმაზარი თანხა უზრუნველყოფს დიდმნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების დაფინანსებას, მოსახლეობის გარკვეული, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფების მატერიალურ უზრუნველყოფას, ქმნის ამ ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ახალ პერსპექტივებს და შესაძლებლობებს. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ასეთ პოლიტიკას შემოსავლის გადანაწილების საქმეში საკმაოდ სერიოზული და მრავალრიცხოვანი ოპონენტები ჰყავს. მათი ძირითადი არგუმენტებია: დიდი მოგების დიდმა გადასახადებმა შეამცირა წარმოების გაფართოებისთვის, მისი მოდერნიზაციისთვის აუცილებელი დანახარჯები; მწარმოებლებს დაუკარგა სამეურნეო საქმიანობის სტიმულები, რაც საბოლოო ანგარიშით ამცირებს საერთო შემოსავალს და იწვევს ეკონომიკის დაქვეითებას. ბევრმა დაკარგა აქტიური შრომითი საქმიანობის სტიმული, იღებენ ხანგრძლივ შეღავათებს (ანაზღაურებით), დროზე ადრე გადიან პენსიაზე; ზოგი კატეგორია კი საერთოდ წყვეტს აქტიურ შრომით საქმიანობას და სოციალური დახმარების ხარჯზე იწყებს პარაზიტულ ცხოვრებას (ვთქვათ, ორშვილიანი მარტოხელა დედა დახმარების სახით იღებს უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე საშუალო ხელფასია ქვეყანაში); შრომითი დანახარჯების და შრომითი ბაზრის შემცირებით შრომა ხდება უფრო დეფიციტური და ბაზარი ამას უპასუხებს ხელფასის მომატებით, რაც საბოლოო შედეგით ამცირებს წარმოებას და შესაბამისად ბიზნესი კაპიტალს წარმოების ნაცვლად სხვა სფეროში აბანდებს — ყიდულობს მიწას, სახლს, ძვირადღირებულ ავტომანქანას, იახტას; კაპიტალი წარმოებიდან, სადაც მაღალი გადასახადებია, გადადის გართობის ინდუსტრიაში, ე. ი. არაწარმოებელ სფეროში და მთელ ამ პროცესს თან ახლავს შემოსავლის დამალვის ლეგალური და არალეგალური არხების ძიება გადასახადების შესამცირებლად.

ეკონომიკის მეტისმეტი სოციალიზაციის მოწინააღმდეგეთა ამ ყაიდის არგუმენტების ჩამოთვლა შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, და მათი იგნორირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. როგორც ვხედავთ, საგადასახადო პოლიტიკაზე საერთოდ და შემოსავლის გადანაწილების ფორმებზე კერძოდ დამოკიდებულია ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების, საზოგადოებაში „სოციალური ზავისთვის" პირობების შექმნის უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

შემოსავლის გადანაწილება მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სასარგებლოდ სოციალური პროგრამების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, მაგრამ არაერთადერთი. სოციალური დახმარების დაფინანსების პრობლემებზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში დისკუსია დაიწყო 70-იანი წლების შუა ხანებში, ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში, და ძირითადად შეეხო საკითხს — რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს სახელმწიფო ხელისუფლებამ, რომ არ შემცირდეს სოციალური დახმარების ეფექტიანობა ისეთ პირობებში, როცა სოციალური საჭიროებისთვის დანახარჯები შემოსავალზე უფრო სწრაფად იზრდება. უკვე ამ პერიოდში გამოიკვეთა სერიოზული პრობლემა, რომელმაც შემდგომში თანდათანობით უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო, რადგან სოციალური პრობლემების დაფინანსების ძირითადი სიძნელეები აიხსნება მოსახლეობაში ხანშიშესულთა (საპენსიო ასაკის) ხვედრითი წილის სწრაფი ზრდით.

მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სასარგებლოდ შემოსავლის გადანაწილების სწრაფ ტემპებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ თანხამ 600 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში სოციალური დახმარება ფინანსდება სამი მთავარი წყაროს საფუძველზე: 1. მეწარმეების, ე. ი. კერძო კაპიტალის შენატანები, 2. იმ პირთა წინასწარი შენატანებით, ვინც სარგებლობს ან მომავალში ისარგებლებს სოციალური დახმარებით — ე. ი. მშრომელი მოსახლეობის შენატანებით, 3. სახელმწიფოს დოტაციებით. ამ სამი ძირითადი წყაროს გარდა არის სხვა შემოსავალიც — საჩუქრები, შემოწირულობები და სხვა, რომელთა ხვედრითი წილი სოციალური დახმარებისთვის გამოყოფილი სახსრების ჯამში მერყეობს 1 პროცენტიდან (ირლანდია) 14,1 პროცენტამდე (ნიდერლანდი).

სოციალური პროგრამების დაფინანსების სამი ძირითადი წყაროს რაოდენობრივი ურთიერთთანაფარდობა ევროპის ქვეყნებში განსხვავებულია. ამის საფუძველია ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიების პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია და აქედან გამომდინარე საგადასახადო და სოციალური პოლიტიკა; სადაც გადასახადები ძალიან მაღალია, იმ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი სოციალური პოლიტიკის დაფინანსებაში მნიშვნელოვანია. 1990 წლის მონაცემებით, დანიაში სახელმწიფო აფინანსებდა სოციალური საჭიროებებისათვის გამოყოფილი სახსრების 78,8 პროცენტს, კერძო კაპიტალის წილად იყო 10,2 პროცენტი, ხოლო მათგან მიღებული წილი, რომლებიც იყენებენ ან გამოიყენებენ სოციალურ დახმარებას, შედარებით უმნიშვნელოა — 3,8 პროცენტი. სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედარებით მაღალი სახელმწიფოებრივი წილი აღინიშნება ირლანდიაში — 65,8, საბერძნეთში — 48,9 და დიდ ბრიტანეთში — 43,2 პროცენტი. გასაგებია, რომ ამ ქვეყნებში სოციალური საჭიროებებისათვის სახსრების სხვა წყაროების პროცენტული მაჩვენებლები შედარებით დაბალია: ვთქვათ, ირლანდიაში კერძო სექტორიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს 21,6 პროცენტს. ამ მაჩვენებლით ე. ი. კერძო კაპიტალისტური წარმოების ხარჯზე სოციალური პრობლემების მოგვარებაში ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ესპანეთს (53,2), შემდეგ იტალიას (53,1), საფრანგეთს (51,5), პორტუგალიას (47,1), ბელგიას (41,4), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას (41,2) პროცენტი. ფინანსირების მესამე ძირითადი წყარო იმ პირთა შენატანები, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ ან მომავალში მიიღებენ ე. ი. მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიები, არსებით გავლენას ახდენენ სოციალური საჭიროებებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტის შევსებაზე ნიდერლანდში (36,3), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (30), ლუქსემბურგში (25,8), საბერძნეთში (23,9), ესპანეთში (19,9), ბელგიაში (19,7).

ასევე არაერთგვაროვან სურათს მივიღებთ, თუ გავაანალიზებთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემას ფულადი და ნატურალური დახმარების თვალსაზრისით. 1990 წლის მონაცემებით ესპანეთში სოციალური დაზღვევა და დახმარება მთლიანად (100 პროცენტით) ფულადი ფორმით გაიცემოდა. ამ მხრივ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (19,40 პროცენტი) აქვს დანიას, სადაც სოციალური დახმარების უდიდესი ნაწილი (დანარჩენი 80, 60 პროცენტი) ხორციელდება ნატურალური ფორმით.

სოციალური პროგრამების დაფინანსების წყაროებში არსებითი განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში განსხვავებული სისტემები ჩამოყალიბდა. სკანდინავიის ქვეყნებში (ნაწილობრივ დიდი ბრიტანეთიც) სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფას — ე. ი. ძირითადად ბიუჯეტის ხარჯზე. „კონტინენტური მოდელის" სახელმწიფოები (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) შემოსავლის გადანაწილებაში და შესაბამისად სოციალური პროგრამების დაფინანსებაში მთავარ როლს აკუთვნებენ საბაზრო ეკონომიკას და კერძო კაპიტალს. ავსტრიას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უჭირავს, თუ შეიძლება ითქვას, შუალედური პოზიცია, მაგრამ განვითარების ტენდენციების თვალსაზრისით უფრო სკანდინავიურ მოდელს უახლოვდებიან. აზიის ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, იაპონიაში სოციალური პრობლემები ძირითადად მეწარმეების და კერძო კაპიტალის ხარჯზე გვარდება.

სოციალური უზრუნველყოფისათვის ფინანსური წყაროების თანაფარდობაში არსებითი სხვაობის მიუხედავად არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამ სფეროსადმი ზოგ განვითარებულ ქვეყანაში ხელისუფლება დიდ ყურადღებას იჩენს, ზოგში — ნაკლებს. ბუნებრივია, რომ არის არსებითი სხვაობა უაღრესად განვითარებული ქვეყნების (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნიდერლანდი, შვეცია, დანია, ნორვეგია, ბელგია, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი) და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი) მოსახლეობის სოციალური დახმარების დონეებს შორის. გასაგებია, რომ პირველი ჯგუფის ქვეყნებში პენსიონერი ან უმუშევარი გაცილებით მეტ კომპენსაციას იღებს, მაგრამ ეს გამოწვეულია ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონით და მისი მატერიალური შესაძლებლობებით, უწინარესად კი იმით, რომ აქტიური შრომის პერიოდშიც განსხვავებულ ქვეყნებში ერთეული პიროვნება განსხვავებული რაოდენობის საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის.

სოციალური პოლიტიკის დაფინანსების წყაროების აღნიშნული სტატისტიკის ანალიზი სრული არ იქნება, თუ მკითხველის ყურადღებას კიდევ რამდენიმე ასპექტზე არ შევაჩერებთ. ევროპის ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა კერძო წარმოებიდან შემოსული წილის თანმიმდევრული შემცირება. ეს გამოწვეულია მისწრაფებით, რომ შეუქმნან კერძო კაპიტალს განვითარების, გაფართოების, რეკონსტრუქციის პირობები და უზრუნველყონ მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

ამ მსჯელობიდან კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: იმ ქვეყნებში, სადაც კერძო და კოლექტიური კაპიტალის დანახარჯები სოციალურ დახმარებაზე ძირითადია, შესაბამისად დაბალია მშრომელთა უშუალო ხელფასი. კერძო საწარმო, რომელიც დიდ სახსრებს ხარჯავს მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე, ვერ შეძლებს სამუშაო ძალის მაღალი ღირებულების შენარჩუნებას. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ყველა ქვეყანა გამწვავებული კონკურენციისა და ინფლაციის პირობებში ცდილობს კერძო კაპიტალს მდგომარეობა შეუმსუბუქოს იმ ნაწილშიც, რომლის სოციალური პრობლემების დაფინანსებას ეხება, მაგრამ ეს მისწრაფება არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ამ მიზნებისთვის გამოყოფილი სახსრების რაოდენობის ზრდის საერთო ტენდენციას. ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ცივილიზირებულ სამყაროში მოქმედ საგადასახადო სისტემებს, რაც შემდგომი პუბლიკაციის თემაა.

---

დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 67.

---

# საქართველოს „მშრომელთა ორგანიზაციის" წესდება

### მშრომელთა ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

**საქართველოს** „მშრომელთა ორგანიზაცია" არის პოლიტიკური ორგანიზაცია, სადაც ნებაყოფლობით გაერთიანებულნი არიან მშრომელი ხალხის საქმისათვის თავდადებული საქართველოს მოქალაქენი.

„მშრომელთა ორგანიზაცია" თავის საქმიანობას წარმართავს სივრცისა და დროის მიხედვით მშრომელ ხალხთან მჭიდრო კავშირში. მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და მის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. მშრომელთა ორგანიზაციისათვის სავალდებულოა დემოკრატიული ცენტრალიზმი დაწყებული პირველადი ორგანიზაციიდან მის უმაღლეს ორგანომდე. ორგანიზაციას აქვს ერთნაირი კანონი და დისციპლინა თავისი წევრებისათვის.

### მშრომელთა ორგანიზაციის წევრობა

**მშრომელთა** ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს მცხოვრები, რომელიც აღიარებს ორგანიზაციის წესდებას, გაერთიანებულია ერთ-ერთ პირველად ორგანიზაციაში, ასრულებს ორგანიზაციის დავალებებს და მხარს უჭერს მატერიალური სახსრებით.

ორგანიზაციაში წევრად მიღება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე. პირადი განცხადების საფუძველზე ხდება აგრეთვე ორგანიზაციიდან გასვლა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ის პირები, რომლებიც კომუნისტური პარტიის რიგებში იყვნენ პირადი ინტერესების მიზნით „მშრომელთა ორგანიზაციის" რიგებში არ მიიღებიან. ახალი წევრები მიიღებიან ორგანიზაციის კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებმაც გაიარეს საკანდიდატო სტაჟი.

### მშრომელთა ორგანიზაციის წევრთა მოვალეობანი და უფლებები

**ორგანიზაციის** წევრი მოვალეა იცავდეს ორგანიზაციის წესდებას. ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს პოლიტიკურ დონეს. გაათვითცნობიეროს მასები ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, იყოს დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, გაუფრთხილდეს ორგანიზაციის რიგების სიწმინდეს, განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხმა აიმაღლოს ყოველგვარი მოქმედების წინაშე, რომელი მოქმედებაც საზიანოა ორგანიზაციისათვის.

ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს ირჩევდეს და თვითონაც იქნეს არჩეული ორგანიზაციის ორგანოებში, თავისუფლად გამოთქვას აზრი ყრილობებზე, კონფერენციებზე, საერთო კრებებზე, პრესაში და სხვა. შეჰქონდეს წინადადებები და იცავდეს თავის აზრს, ორგანიზაციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებამდე, გააკრიტიკოს ორგანიზაციის ყოველი წევრი მიუხედავად თანამდებობისა. მიიღოს მონაწილეობა ყოველგვარ ღონისძიებებში, სადაც ხდება მისი მოქმედების განხილვა.

### მშრომელთა ორგანიზაციის წევრობის კანდიდატობა

**საქართველოს** ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სურს გახდეს მშრომელთა ორგანიზაციის წევრი, გადის საკანდიდატო სტაჟს, რომელიც მიზნად ისახავს ამ ორგანიზაციის პროგრამის შესწავლას და კანდიდატის პირადი თვისებების გამოვლენას. კანდიდატები იყოფიან სამ კატეგორიად. 1. მუშურ-გლეხური ოჯახიდან გამოსულნი. 2. ინტელიგენციის წრიდან გამოსულნი, 3. სხვადასხვა ორგანიზაციისა და პარტიის ყოფილი წევრები. პირველი კატეგორიის კანდიდატები ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან ექვსი თვის საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ. ორი წევრის რეკომენდაციით, მეორე კატეგორიის კანდიდატები 1 წლის საკანდიდატო სტაჟის შემდეგ ოთხი წევრის რეკომენდაციით, მესამე კატეგორიის კანდიდატები ორი წლის საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ ექვსი წევრის რეკომენდაციით. კანდიდატები დაიშვებიან საერთო კრებებზე, სადაც ისინი არიან აღრიცხვაზე. კანდიდატები ჩვეულებრივად იხდიან საწევრო გადასახადს დადგენილი წესით.

### მშრომელთა ორგანიზაციის პირველადი ორგანიზაცია

**მშრომელთა** ორგანიზაციის საყრდენს წარმოადგენს პირველადი ორგანიზაცია, რომელიც [illegible] მოყალიბდეს თუ მასში გაერთიანებული იქნება ექვსი წევრი. საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ პირველად ორგანიზაციაში გაერთიანებულია 15-20 წევრი, საერთო კრებას უფლება აქვს აირჩიოს თავმჯდომარე და მოადგილე, ბიუროს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საერთო კრება.

### მშრომელთა ორგანიზაციის მმართველობის ორგანო

**საქართველოს** მშრომელთა ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. იგი უფლებამოსილია თუ მას ესწრება ყრილობის დელეგატთა ნახევარზე მეტი. ყრილობა მოიწვევა წელიწადში ერთჯერ, რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით. ყრილობის მოწვევა და დღის წესრიგი ორგანიზაციის წევრებს ეცნობებათ ერთი თვით ადრე, ყრილობა განიხილავს ორგანიზაციის წესდებას და პროგრამას, შესაბამისად შეაქვს მასში ცვლილებები.

ყრილობა ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს და სარევიზიო კომისიას. ყრილობების შუა პერიოდში ცენტრალური კომიტეტი წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობა. ირჩევს ორგანიზაციის თავმჯ- [illegible] ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს, სარევიზიო კომისია ახორციელებს ორგანიზაციის კონტროლს, იგი ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე. სარევიზიო კომისიის სხდომების მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ.

### მშრომელთა ორგანიზაციის ფინანსური სახსრები

**ორგანიზაციის** საფინანსო სახსრებს წარმოადგენს საწევრო შენატანი და კანონით დადგენილი სხვა წყაროები. საწევრო შენატანია თვითოეულ წევრზე 5 მანეთი. საწევრო შენატანი აუცილებელია როგორც წევრებისათვის, ასევე კანდიდატებისათვის. ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ, საწევრო გადასახადს არ იხდიან.

### დადგენილება მშრომელთა ორგანიზაციის გაუქმების შესახებ

**მშრომელთა** ორგანიზაციის გაუქმების საკითხს იხილავს ორგანიზაციის ყრილობა და წყვეტს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობის შესაბამისად გამოაქვს დადგენილება. მშრომელთა ორგანიზაციის ადგილსამყოფელია ქ. გორი.

# საქართველოს ძარცვავენ, თურქეთს ამდიდრებენ

**ლარისა ხუბულური**

**ქალაქში ხმა დაირხა: საბურთალოზე, მინდელის ქუჩაზე თითქმის ერთ კილომეტრიანი ტროლეიბუსის ხაზი ჩამოხსნეს და მოიპარეს, რის გამოც აქ მოძრაობა შეფერხდაო.**

**ამის გასარკვევად თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში დავრეკეთ, ვესაუბრეთ გაერთიანების უფროსს ბატონ ნუგზარ ნავაძეს. მან ფაქტი დაგვიდასტურა, მაგრამ აგვიხსნა: აქ საქმე უფრო რთულად არის, მარტო ამ უბანზე კი არა, ქალაქის მთელ რიგ რაიონებში ხდება სპილენძის საკონტაქტო მავთულების მოპარვის ფაქტებიო.**

**საქმის გაცნობის მიზნით კი, რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპეციალური სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ბატონი გურამ შენგელია, რომელმაც აგვიხსნა, რომ მართლაც, ქალაქში გახშირდა ტროლეიბუსის სპილენძის ხაზების ქურდობა და ამან შეიძლება მთელი რესპუბლიკა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოსო.**

**სანამ** უშუალოდ მომხდარი ფაქტის თაობაზე გვეტყოდა, ბატონმა გურამმა საუბარი ცოტა შორიდან დაიწყო. აგვიხსნა, რომ მათი სამმართველო თბილისში ერთადერთია, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსების ახალი სამარშრუტო ხაზების გაყვანასთან ერთად, ახდენს სასწრაფო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

ტრამვაი-ტროლეიბუსის საკონტაქტო ქსელის გასაყვანად საჭიროა სპილენძის საკონტაქტო მავთული, რომელიც ორი სახის ყოფილა. ერთი — „МФ-85" და მეორე — „МФ-100". რკინიგზის საკონტაქტო ხაზისთვის მხოლოდ „МФ-100" იყენებენ. ტრამვაი-ტროლეიბუსებისათვის — კი ორივეს.

ჩვენს რესპუბლიკაში დღესდღეობით არ არსებობს არცერთი წარმოება, რომელიც იმ სათადარიგო ნაწილებს ამზადებდეს, რომელიც სჭირდება ელექტრო-ტრანსპორტს. ყველაფერი ეს, საკონტაქტო მავთული იქნება, თუ სხვა ფერადი ლითონის ნაწარმი რუსეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვთ, კერძოდ, ტაშკენტიდან. უკანასკნელად ამ სამი წლის წინათ მიიღეს საკონტაქტო მავთული „МФ-85". მას შემდეგ არავითარი წყარო ამ მავთულის მიღებისა არა აქვთ. ამ ხნის განმავლობაში ქალაქში უამრავ ადგილას გაიყვანეს ახალი სამარშრუტო ხაზები, კერძოდ, ვარკეთილში, ქავთარაძე-მინდელის ქუჩაზე, რომელიც მთლიანად დამთავრებული არ არის, და სხვა ადგილებში.

შარშან ოქტომბრისათვის დარჩენილი ჰქონდათ ამ საკონტაქტო მავთულის ჩვიდმეტი „ბარაბანი", დაახლოებით ცხრამეტი ტონა.

შარშან 18 ოქტომბერს, ღამით სამმართველოს საქმიან ეზოს, სადაც ადმინისტრაციის შენობაა, თავს დაესხა შეიარაღებულ ბანდიტთა ორი ჯგუფი. მათ შებოჭეს დარაჯი და მორიგეები, ერთმა ჯგუფმა დაარბია ადმინისტრაციის შენობა, გაიტაცეს ტელევიზორები, მაგნიტოფონები, კალკულატორები, ტელეფონის აპარატები, მეორე ჯგუფმა შემოიყვანა ამწესატვირთო მანქანები და გაიტაცეს 17 „ბარაბანი" მავთული, სულ 19 ტონა. ასე რომ, გაერთიანება ისეთი მეტად საჭირო მასალის გარეშე დარჩა, რომლის საიდანმე შემოტანის იმედი არ იყო.

ამ შემთხვევის თაობაზე მეორე დღესვე საქმის გამოსაძიებლად სამმართველოს ხელმძღვანელობამ გლდანის რაიონის მილიციას მიმართა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაიწყო დაკითხვები, საქმე თითქოს ადგილიდან დაიძრა, მაგრამ დღემდე იგი გამოკვლეული არ არის.

ბატონი გურამ შენგელია არ დაელოდა ძიებას და თვითონ შეეცადა მიეკვლია ნაქურდალისათვის. ამ მიზნით ქალაქის რამდენიმე საწარმოს ეწვია, შემოწმა ღუმელები, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. შემდეგ რუსთავშიაც ჩავიდა და იქ ქარხანა ცენტროლიტში ისეთი საამქრო აღმოჩნდა, სადაც შეიძლებოდა ნებისმიერი სახის სპილენძის გადადნობა და აქვე, ადგილზე ნახა უკვე დაჭრილი, გადასადნობად დამზადებული საკონტაქტო მავთულის ნაწილები. მის შეკითხვაზე, თუ საიდან ჰქონდათ ეს მავთულები, ან ვინ იყო მისი პატრონი, მუშებმა არაფერი იცოდნენ, უთხრეს, რომ გადასადნობად შემოგვიტანეს 15 „ბარაბანი", აქედან ორი უკვე დაჭრილი გვაქვს და 13 „ბარაბანი" აქვე აწყვიაო. გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ეს მავთულები იყო „МФ-100" ტიპისა, ქურდებს კი მეორე „МФ-85" ტიპის მავთულები ჰქონდათ წაღებული.

გურამ შენგელიამ რუსთავში მიგნებული საკონტაქტო მავთულების თაობაზე აცნობა გლდანის მილიციას, მესამე ქვეგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი რეზო მაღლაკელიძე და განყოფილების ორი თანამშრომელი მასთან ერთად ჩავიდნენ რუსთავში, საკონტაქტო მავთულები წამოიღეს და სამმართველოს ეზოში საგულდაგულოდ შეინახეს. ამავე დროს მილიციამ უფლება დართო მათ ავარიის შემთხვევაში დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ.

**ერთ დღეს შეიძლება თბილისში აფეთქდეს შენობები, გამოირთოს დენი, გაჩერდეს ტროლეიბუსები, ლიფტები...**

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ გურამ შენგელია გლდანის რაიონის მილიციაში დაიბარეს, სამძებრო განყოფილების უფროსმა გია სალუქვაძემ მას გააცნო ფირმა „ციალის" პრეზიდენტი გიორგი ტყეშელაშვილი, რომელსაც რუსთავიდან წამოღებული საკონტაქტო მავთულები ეკუთვნოდა. როცა ბატონმა გურამმა აუხსნა, როგორ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული სამმართველო და აქედან გამომდინარე თბილისის ტრანსპორტი, ტყეშელაშვილმა მიუგო, რომ ამ მავთულებს, საერთოდ, უსასყიდლოდ გადავცემ ქალაქს. მხოლოდ ამ ფაქტის გაფორმება მოითხოვა. ასეც მოხდა, მაგრამ შემდეგ საკონტაქტო მავთულის პატრონმა ოთხი „ბარაბანის" დაბრუნება ითხოვა, მილიციის ნებართვით, პატრონს ეს რაოდენობა დაუბრუნეს. დარჩათ ცხრა „ბარაბანი".

თბილისში დეკემბერ-იანვარში დატრიალებული ტრაგედიის დღეებში, მოგეხსენებათ, რუსთაველის პროსპექტი რა დღეში ჩავარდა, ნგრევასთან ერთად დაწყვეტილი იყო მთელი საკონტაქტო ხაზები, საჭირო იყო ტროლეიბუსის ხაზის სასწრაფო აღდგენა, გაერთიანების ხელმძღვანელობის დავალებით, სამმართველოს მუშაკები 7 იანვარსვე შეუდგნენ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სასტუმრო „ივერიიდან" თავისუფლების მოედნამდე, ცეკავშირის შენობამდე რუსთავიდან წამოღებული საკონტაქტო მავთულები გამოიყენეს. სულ ორი „ბარაბანი" დახარჯეს. ერთი „ბარაბანი" მანამდე ჰქონდათ გამოყენებული ქალაქის სხვადასხვა უბანზე საავარიო სამუშაოების შესრულებისას. ასე რომ, სამმართველოს 6 „ბარაბანილა" ჰქონდა დარჩენილი.

ახლახან, 12 აპრილს მოხდა სამმართველოს მეორე დარბევა. იგივე მეთოდით, როგორც ადრე — შემოიჭრა ბანდიტთა ჯგუფი, გადაჭრა ტროსი და ორი „ბარაბანი" გაიტაცა.

საკონტაქტო მავთულების დაბრუნება კვლავ ითხოვა ფირმა „ციალის" პრეზიდენტმა გ. ტყეშელაშვილმა, რომელსაც მხარი დაუჭირა სამძებრო განყოფილების უფროსმა გ. სალუქვაძემ, იმის გამო, რომ გაერთიანებას დარჩენილი ოთხი „ბარაბანის" გარდა სხვა არაფერი გააჩნდა, და ქალაქში სატრანსპორტო ხაზების ავარიის შემთხვევაში ვერაფერს იღონებდნენ, ამ მოტივით მათ პატრონს უარი შეუთვალეს.

ქალაქში კი ახალი წლის შემდეგ მრავალ ადგილას მოხდა საგანგაშო შემთხვევები. მინდელის ქუჩაზე 800 მეტრი სიგრძის საკონტაქტო მავთული ჩამოხსნეს და მოიპარეს, ქავთარაძის ქუჩაზე — 200 მეტრის სიგრძისა, დაახლოებით 1500 მეტრი სიგრძის მავთული წაიღეს ვარკეთილის დასახლებაში, ტრამვაის ხაზზე ავჭალაში 60 მეტრი სიგრძის მავთული გაიტაცეს. სპილენძის მავთულების და, საერთოდ, ფერადი ლითონების მოპარვამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ქურდები აღარ ერიდებიან არაფერს, თვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც კი, ასე მაგალითად, ამ ორი კვირის წინათ ქვესადგურში თვრამეტი წლის ახალგაზრდას ტრანსფორმატორის დაშლისას დენმა დაარტყა და ადგილზევე დაიღუპა.

ქურდობა გრძელდება, მძარცველები ახლა ლიფტებსაც შლიან, ტრამვაის, ტროლეიბუსის ვაგონების დაშლაზეც გადავიდნენ. ჭრიან კაბელებს. მოხეტიალე დენების კაბელებმა კი შეიძლება ქალაქში დიდი უბედურება დაატრიალოს. მოხდეს შენობების აფეთქება, ქალაქში ელექტროდენის გამორთვა, ტრამვაი-ტროლეიბუსების, ლიფტების გაჩერება.

და ყოველივე ამ უბედურების სათავე ის გახლავთ, რომ ეს ნაძარცვი სპილენძი, ფერადი ლითონები გააქვთ თურქეთში, სადაც ტონა სპილენძში 1900 დოლარს უხდიან. (საერთაშორისო ფასებით კი სპილენძი, თურმე, გაცილებით მეტი ღირს). აი, ამის გამო სწირავენ ქურდები, ნაძირალები თავიანთი ახლობლების, თავიანთი თანამოქალაქეების სიცოცხლეს, მათ კეთილდღეობას.

12 აპრილს სამმართველოს გაძარცვის ფაქტთან დაკავშირებით საქმის ძიებაში გლდანის რაიონის მილიციასთან ერთად ჩაება თბილისის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობა. საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა რომან გვენცაძემ, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა თენგიზ კიტოვანმა. იმედია, ამ ბოროტების ჩამდენთ მიაკვლევენ და სათანადოდაც დასჯიან, მაგრამ **სანამ მთავრობა არ მიიღებს კანონს ჩვენი რესპუბლიკიდან ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვის თაობაზე, ამ საქმეს არ ეშველება.**

● თეატრი

# სეზონი განახლდა

**თითქმის** ნახევარწლიანი, იძულებითი შესვენების შემდეგ, კვლავ აინთო თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ჩირაღდნები. მაყურებელმა ნახა რევაზ ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ლალე" (რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია). გასული ზამთრის სიძნელეებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი გოგი ჩაკვეტაძე.

— თეატრის უმოქმედობა ელექტროენერგიის დეფიციტმა გამოიწვია, — თქვა მან. — როგორც კი გაჩნდა შესაძლებლობა, მარტის დასასრულს შევუდექით რეპეტიციებს. რეპერტუარშია რევაზ ინანიშვილის „ჩემი წყალ-ქალის ხმები" და „ალალე", ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი", ოტია იოსელიანის „ცეცხლთან თამაში" და სხვა. ახლო მომავალში მაყურებელი ორ პრემიერას ნახავს. მე დავდგამ ლუიჯი პირანდელოს „ჰენრიხ IV", რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი კი რობერ ტომას „რვა მოსიყვარულე ქალს".

გარდა წმინდა შემოქმედებითი საზრუნავისა, დიდი საფიქრალი გაგვიჩინა ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. იძულებული ვართ ვეძებოთ დამოუკიდებელი არსებობის გზები და წყაროები. თუ თეატრის შენობა (სადაც მრავალი საქალაქო თუ რაიონული ღონისძიება იმართება) და მისი მომსახურე პერსონალი მუნიციპალურ გამგებლობაში გადავა, ჩვენი ორმოცკაციანი შემოქმედებითი კოლექტივი, სპონსორთა შემწეობით, შეძლებს თავის შენახვას. თუმცა, შეგნებული გვაქვს, რომ ყოველივე დიდ შემოქმედებით თუ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს.

**ზურაბ არსენიშვილი.**

● კონკურსი

# ბუნების დაცვა ყველას საქმეა

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს, რომლის მიზანია გამოავლინოს საქართველოში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში მიღწეული კონკრეტული შედეგები, წარმოაჩინოს ბუნების ქომაგთა წვლილი ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების საქმეში.

საკონკურსოდ მიიღება და შეფასდება ბუნების ქომაგთა მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საქმე, რომელმაც 1992 წელს უკვე მოგვცა (ან უნდა მოგვცეს) რეალური ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური შედეგი.

კონკურსი ღიაა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომლის ნაშრომ-ნაღვაწიც კონკურსის მოთხოვნებს ეხმიანება. თუ წარმოდგენილია რამდენიმე ადამიანის ნამუშევარი, სასურველია აღინიშნოს თითოეული წევრის წვლილი, ვინ არის ხელმძღვანელი. მასალები უნდა წარმოადგინოთ გარემოს დაცვის სამინისტროში მისამართით: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68ა (კონკურსისათვის). სახელდობრ, უნდა წარმოადგინოთ ბუნების დაცვის დარგში მიღწეული კონკრეტული შედეგის სრული აღწერა (თუ საჭირო იქნა) სქემებით, ნახაზებით და ფოტოსურათებით და საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ბუნებადაცვითი ორგანიზაციის კოლექტივის წარდგინება-დასკვნა, თუ რით გამოიხატება მისი მნიშვნელობა და სარგებლობა, ვინ, სად და როდის რა გააკეთა, რა საშუალებებით, რისთვის და როგორ?

საკონკურსოდ არ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია იმ პირთა მიერ, ვისაც ეს საქმე სამსახურებრივად ევალება.

წარმოდგენილ მასალებს განიხილავს საგანგებოდ შედგენილი მეცნიერ-ეკოლოგთა და სპეციალისტთა კომისია. ნაშრომთა ჩაბარების ბოლო ვადაა 1992 წლის 1 აგვისტო.

მასალები მიიღება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. თუ საჭირო იქნა, მათ ადგილზე შეისწავლიან და ყოველი თვის მიწურულს განიხილავენ. გამარჯვებულთა სახელები გამოქვეყნდება პრესაში.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ორი პრემია — თითოეული 8 ათასი მანეთის ოდენობით;

ორი წამახალისებელი პრემია — თითოეული 1 ათასი მანეთის ოდენობით.

ყველა უმნიშვნელოვანესი კონკრეტული შედეგის ავტორთა საქმიანობის ამსახველი მასალები გამოქვეყნდება ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში", პრესაში, გადაიცემა ტელევიზიითა და რადიოთი, წარმოდგენილი იქნება სპეციალური გამოფენის სახით.

## სამკურნალწამლო მეურნეობა

**ხობის** რაიონის სოფელ შუა ხორგაში არის სამკურნალო მცენარეთა საზოგადოებრივი მეურნეობა. მეორე ქობულეთის რაიონშია. ესაა და ეს.

ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ცოტად მაინც ჩახედულია, მას ასეთი სპეციალიზებული მეურნეობის არსებობა არ უნდა გაუკვირდეს. საკვირველი უფრო ის არის, რატომ მეტი არ გაგვაჩნია. ხორგის მეურნეობა დაარსებიდან — 1969 წლიდან — შარშანდლამდე სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს აგროსამრეწველო კომპლექსს ექვემდებარებოდა. შარშან კი რესპუბლიკისა გახდა და ნედლეული პირველად ჩააბარა ბათუმისა და თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებს.

სადღეისოდ აქ 650 ტონაზე მეტი სხვადასხვა სამკურნალო მცენარე მოჰყავთ, კარგი მოვლით უკეთესი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ. ძალას იკრებს ახალი პლანტაციები. 118 ჰექტარზე გაშენებული ევკალიპტის პლანტაციის პირველ მოსავალს ამ გაზაფხულზე აიღებენ, დაამუშავებენ და ზეთს გამოხდიან. 780 ჰექტარი ახალდაშრობილი მიწა საშუალებას მისცემთ გააფართოონ სამკურნალო მცენარეთა წარმოება.

ძირითადი კულტურა მაინც ალოეა. მისგან ამზადებენ ექსტრაქტს, წვენს, ლინიმენტს, სიროფს. ეს მცენარე მხოლოდ კოლხეთის ზონაში, შავი ზღვის სანაპიროზე ხარობს.

მთავარი საზრუნავი და სიძნელეც ისეთი ტიპის მეურნეობაში, როგორიც ხორგისაა, დაჭაობებულ გრუნტში — სათბურებში მცენარეთა გამოზამთრება არის. ამ ზამთარსაც განსაკუთრებით გაუძნელდათ. დიდთოვლობამ და სიცივეებმა, საწვავის ნაკლებობამ მოშალა ისედაც ამორტიზებული სასათბურე მეურნეობა. სპეციალისტები ადგილობრივი თერმული წყლების გამოყენებით პრინციპულად ახლებურად გადაწყვეტენ სითბოს წყაროს საკითხს აღდგენილი სათბურებისათვის.

**მიხეილ მიქაძე.**

# ახალი ამბები

• [illegible] „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

● ქველმოქმედება

# გძლევთ გამდიდრების შანსს

**ძალზე ადვილად, სრულიად პატიოსნად, უფიქრელად და, წარმოიდგინეთ, გაურჯელადაც კი შეგიძლიათ გახდეთ მილიონერი!**

**მილიონერი ჩვენს დროში — ინფლაციის, დეფიციტის, მოზღვავებული პრობლემების, ეკონომიკური კრიზისის ხანაში! ამისთვის კი ნუ დაიშურებთ დღეისათვის უკვე გაუფასურებულ, „სნეულ" ფულს — 500 მანეთს. ამ თანხით შესაძლებელია 5 მილიონი მანეთი მოიგოთ!**

როგორ? ენდეთ კორპორაცია „ბანი და კომპანიას"...

— ინგლისში მოქმედებს საშობაო ლატარია, რომლის მეშვეობითაც ამ ქვეყანაში ყოველწლიურად 10-15 კაცით მატულობს მილიონერთა რიცხვი, — ამბობს კორპორაცია „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტი ბადრი ნინუა. ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენის მიერ დაარსებული ეს კორპორაცია არაერთი კარგი საქმის თაოსანი და განმახორციელებელია, იგი საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის ერთ-ერთი თანადამფუძნებელია. კორპორაციამ საქართველოს აღორძინების ფონდში ქველმოქმედების სახით 5 მილიონი მანეთი შეიტანა.

საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის ხელშეწყობით და თანადგომით ახლა ჩვენც გვინდა ასეთი მაგალითი დავნერგოთ, — განაგრძობს ბადრი ნინუა. — ამ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას. თქვენთვის ცნობილია, ქველმოქმედების რა ფართო პროგრამებსაც ახორციელებს ბატონი ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით დაარსებული აღორძინების ფონდი, ყველაფერი ეს კი დიდ კაპიტალდაბანდებასთან არის დაკავშირებული. ამ ლატარიის გამართვაც ერთ-ერთი ასეთი პროგრამითაა გათვალისწინებული, მისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი სწორედ ქველმოქმედების მიზნებს მოხმარდება. ასეთი სახის ექსპრეს-ლატარიის გამართვა პირველი ცდაა ჩვენში. მოგების ბედი თავად საზოგადოებრიობაზეა დამოკიდებული — თამაშში ყველა უნდა ჩაერთოს. გაიყიდება მილიარდი მანეთის საერთო ღირებულების ორი მილიონი ბილეთი, აქედან 500 მილიონი — მოგების სახით — ისევ ხალხს დაუბრუნდება. 300 მილიონს საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი მიიღებს საქველმოქმედო საქმიანობისთვის. დანარჩენი 200 მილიონი კი საორგანიზაციო ხარჯების და თავად კომპანიის განვითარებას მოხმარდება.

ლატარიის ბილეთები კანადის ერთ-ერთ სახელგანთქმულ ფირმაში იბეჭდება. ეს ფირმა პირველი კლასის ბილეთებს უშვებს. მის დამზადებაში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც გარანტიასა და სათანადო სერთიფიკატს გვაპირდებიან. ბილეთები უმაღლესი მსოფლიო სტანდარტების დონეზე იქნება შესრულებული, ყოველგვარი გაუგებრობა გამორიცხულია.

ექსპრეს-ლატარია „აღორძინება" სპეციალურ მოვერცხლილ ფოლგის ქაღალდზე მზადდება. მყიდველი შეძენისთანავე გაიგებს, მოიგო თუ არა და რა თანხის მფლობელი გახდა. ყველაფერი მარტივად ხდება: გადაშლი თუ არა ბილეთზე სპეციალურად მონიშნულ ადგილს, წარმოჩნდება ციფრი — „იღბლიანი თანხა". ისე რომ, — არავითარი ექსცესები, საიდუმლო გათამაშებები და სხვა მაქინაციები, რაზედაც, სამწუხაროდ, ამდენი მითქმა-მოთქმაა ხოლმე ყოველთვის ჩვენში. მოგებული თანხა თუ ხუთი ათას მანეთს არ აღემატება, იღბლიანი ბილეთის მფლობელი ფულს ადგილზევე მიიღებს. სხვათა შორის, ლატარიის ეს სპეციალური ბილეთები მსოფლიოს არაერთი პრესტიჟული კომპანიის ძალზე დიდი კონტროლით მზადდება, ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქცია კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოწმდება სპეციალური კოდებით. ჩვენთანაც სპეციალური ექსპერტიზა მოეწყობა ყველა დიდი მოგების შემცველი ბილეთის შესამოწმებლად. ერთი სიტყვით, ეს ყველაზე პატიოსანი, საიმედო და ხელსაყრელი ლატარიაა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ლატარიის ბილეთი 500 მანეთი ეღირება. რაც შეეხება მოგებებს, ორას ათასზე მეტი ფულადი მოგება გათამაშდება. გვინდა რაც შეიძლება მეტი მდიდარი ადამიანი ჰყავდეს საქართველოს.

**500 მანეთით შეიძლება მოიგოთ 5 მილიონი მანეთი!**

**წლეულს 4 ადამიანი მოიგებს 5 მილიონ მანეთს, ათი — 2 მილიონს, ოცდაათი — მილიონს, სხვები — 100 ათას, 50 ათასს და ა. შ. მინიმალური მოგება 1000 მანეთია.**

ასე რომ, წლეულს მარტო ამ ლატარიის გათამაშებით, — და რაც მთავარია, სრულიად პატიოსანი, მართლაც ალალი გზით! —საქართველოს შეემატება 44 ოფიციალური მილიონერი. დიახ, 44!

პირველი ივნისიდან ახალი მილიონერები ეყოლება ჩვენს ქვეყანას; მილიონერი — ქველმოქმედი, მილიონერი — ახალი საწარმოს, კოოპერატივის, ფირმის თავკაცი, მილიონერი — დემოკრატიული... საქართველოს თავისუფალი მოქალაქე!

ფულმა ფული უნდა მოიგოს — ასეთია დღევანდელი დღის პრეროგატივა.

მაშ, ასე, გამდიდრების შანსს გთავაზობთ საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი და კორპორაცია „ბანი და კომპანია".

შეიძინეთ 500-მანეთიანი ექსპრეს-ლატარია „აღორძინება". როცა ბილეთზე მონიშნულ ადგილს ხელისმოსმით გადაშლით, შეიძლება ბედნიერი ციფრი 5.000.000 მანეთი იხილოთ.

იღბლიანი ბილეთი შეგხვედროდეთ!

## ჩოგანი

● ჭიდაობა

**სპორტსაზოგადოება** „მართვეს" წარმომადგენელი, სამტრედიელი კობა ჩიჩუეიშვილი (90 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში) ეკატერინბურგში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იუნიორთა შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ღია პირადი პირველობის გამარჯვებული გახდა.

● წყალხტომა

**შანხაიში** გაიმართა წყალმხტომელთა საერთაშორისო ასპარეზობა. კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ.

● შაში

**პიატიგორსკში,** თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მეთეკლასელმა მადონა შალამბერიძემ, 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და ყაზანელ იულია ლიტვინენკოსთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გაიყო საერთაშორისო შაშში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ღია პირველობაში. ორივე მონაწილემ მოიპოვა უფლება ივნისში ტალინში, გოგონათა მსოფლიო პირველობაზე იასპარეზოს.

● ჭადრაკი

**თბილისში** დასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლო გამარჯვებულმა — ნინო გურიელმა, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა. 8 ქულით მეორე ადგილზეა ქეთინო კახიანი. 7-7 ქულა მოაგროვეს თეა ლანჩავამ, ნინო ხურციძემ და ქეთინო არახამიამ. შემდეგ სატურნირო ცხრილში მონაწილენი ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: ქეთინო მელაშვილი (6,5 ქულა), სოფიკო ნიკურაძე (5), ინგა ხურცილავა და თამარ ფახულია (4,5-4,5). თამარ ხმიადაშვილმა და ციალა ქასოშვილმა შესაბამისად 3 და 2,5 ქულა მოაგროვეს. ნატო იძგვირაძემ 2 ქულა მოაგროვა.

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა სძლია ანატოლი კარპოვს 6:4 და პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ჰოლანდიელ იან ტიმანს შეხვდება, რომელმაც ასეთივე ანგარიშით სძლია რუსეთის მეორე წარმომადგენელს არტურ იუსუპოვს.

### საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა)

გათამაშების ცხრილი

XIX ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია" | 25 | 20 | 2 | 3 | 77—25 | 62 |
| „ცხუმი" | 24 | 15 | 3 | 6 | 63—34 | 48 |
| „გორდა" | 25 | 14 | 6 | 5 | 58—30 | 48 |
| „გურია" | 24 | 15 | 2 | 8 | 56—34 | 47 |
| „ოდიში" | 25 | 11 | 5 | 9 | 38—35 | 38 |
| „ქუთაისი" | 26 | 11 | 4 | 11 | 48—34 | 37 |
| „ბათუმი" | 27 | 11 | 4 | 12 | 33—41 | 37 |
| „დილა" | 27 | 10 | 7 | 10 | 39—33 | 37 |
| „სამტრედია" | 26 | 10 | 6 | 10 | 37—39 | 36 |
| „შევარდენი-1906" | 27 | 11 | 2 | 14 | 36—43 | 35 |
| „სამგურალი" | 26 | 10 | 4 | 12 | 26—31 | 34 |
| „მრეტები" | 26 | 9 | 7 | 10 | 35—30 | 34 |
| „სულორი" | 27 | 9 | 6 | 12 | 38—54 | 33 |
| „მზიური" | 23 | 10 | 2 | 11 | 28—39 | 32 |
| „კოლხეთი-1913" | 24 | 8 | 8 | 8 | 28—29 | 32 |
| „მარგვეთი" | 26 | 7 | 11 | 8 | 29—34 | 32 |
| „ალაზანი" | 26 | 7 | 6 | 13 | 25—49 | 27 |
| „ამირანი" | 24 | 6 | 6 | 12 | 27—38 | 24 |
| „კოლხეთი" | 24 | 6 | 6 | 12 | 29—45 | 24 |
| „მერცხალი" | 27 | 4 | 5 | 18 | 23—66 | 17 |

# ქართველ სპეციალისტთა პროექტით

**ლუჟნიკი** — მსოფლიოში განთქმული მოსკოვის ღია სტადიონი მალე გადაიხურება. ამაში ქართველი სპეციალისტები დაეხმარებიან, რომლებიც მონაწილეობდნენ 72 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის უზარმაზარი სარბიელის გადახურვის საუკეთესო საინჟინრო გადაწყვეტისთვის გამართულ კონკურსში. ამასთან, სტადიონის სახურავი გასახსნელი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში გადაეფაროს სათამაშო მოედანს.

ამგვარი ამოცანა საკმაოდ რთულია, მსოფლიო პრაქტიკაში მის გადაწყვეტას ანალოგები არა აქვს, მაგრამ თბილისელ მეცნიერთა ვარიანტი მარტივი, საიმედო და შესასრულებლად რეალური გამოდგა.

— სწორად დაპროექტებული კონსტრუქცია მუდამ ლამაზია, — ამტკიცებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსფორმირებულ კონსტრუქციათა ინსტიტუტის მეცნიერები გ. ბედუკაძე, ე. მეძმარიაშვილი და ქ. ჩხიკვაძე. და ეს აღნიშნეს კომისიის წევრებმაც, გარდა ამისა, ჩვენ ერთადერთნი ვიყავით, ვინც წამოაყენა წინადადება შეხამებულიყო ვანტური (გვარლური) და სტრუქტურული სამშენებლო კონსტრუქციების ღირსებები. ასეთი „კავშირი" საიმედო და მტკიცეა. და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდი სპორტული ასპარეზი ლუჟნიკში ხომ ერთდროულად ასი ათას კაცს იტევს.

**ლუდმილა იაკობაშვილი.**

## გამოსათხოვარი

# დავით ბარამიძე

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, პერსონალური პენსიონერი დავით ალექსის ძე ბარამიძე.

დ. ბარამიძე დაიბადა 1909 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ლანიჩში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1926 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო ლაგოდეხის რაიონში აგრონომად, ხოლო 1934 წლიდან საცხოვრებლად გადმოდის ბორჯომის რაიონში და მუშაობას იწყებს რაიმიწგანში უფროსი აგრონომის თანამდებობაზე. 1940 წლიდან დაინიშნა რაიმიწგანის გამგედ, მომდევნო წლებში მუშაობდა რაიონის სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამმართველოს მიწათმოქმედების განყოფილების უფროსად. 1958 წლიდან მუშაობს რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად, 1965 წლიდან, პენსიაში გასვლამდე — 1978 წლამდე ხელმძღვანელობდა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს. შემდეგ — გარდაცვალებამდე იყო მცენარეთა დაცვის პროგნოზისა და დიაგნოსტიკის დამკვირვებელი პუნქტის აგრონომი.

დ. ბარამიძე გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ორგანიზატორული ნიჭით და ხალხთან მუშაობის უნარით. მისი ინიციატივით რაიონში არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მან აღზარდა სოფლის მეურნეობის მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი. დ. ბარამიძე ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა მოვალეობას. რაიონის მოსახლეობაში მან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი

**ნიკოლოზ მიხეილის ძე ჯაყელი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს (გამოსვენება კვირას, 3 მაისს, 14 საათზე, თბილისში, კუტუზოვის ქ. №20).

## რეკლამა ● განცხადება

**კომპიუტერული სკოლა**
**აცხადებს მსმენელთა მიღებას**

**კვალიფიციური** პედაგოგები დაგეხმარებიან შეიძინოთ IBM PC ტიპის კომპიუტერზე მუშაობის ჩვევები, დაეუფლოთ პროგრამისტის პროფესიის შემდეგი პროფილით:

1. კურსი სრულიად დამწყებთათვის,
2. პროგრამული ენების შემსწავლელი კურსი — BASIC, PASCAL...
3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების — DBASE-III,... შემსწავლელი კურსი.

კურსის ხანგრძლივობა პროფილის მიხედვით 16 აკად. საათიდან (30 დღე) 45 აკად. საათამდე (80 დღე).

კურსდამთავრებულები მიიღებენ დამადასტურებელ მოწმობას.

მისამართი: ფალიაშვილის ქ. 42, 57-ე სკოლის შენობაში (I სართ. მარჯვნივ), მობრძანდით სამუშაო დღეებში 12-დან 16 საათამდე (ტელეფონი: 29-11-78).

**სამეცნიერო-ტექნიკური ფირმა „რებუსი"**
**გთავაზობთ**

1. ბუღალტერიის კომპიუტერიზაციას ქართულენოვანი მრავალმხრივი სახმარად მარტივი სისტემით (მასში გავითვალისწინებთ თქვენს სპეციფიკას და მოთხოვნებს) მოგიმზადებთ სათანადო სპეციალისტს, მოგემსახურებით ტექნიკას და პროგრამას.
2. წიგნის დაკაბადონებას,
3. და სხვადასხვა სახის ტექნიკურ და პროგრამულ სამუშაოებს, გამოთვლითი ტექნიკის მომსახურებას (მათ შორის პრინტერის კასეტის საბეჭდი ლენტის გამოცვლას)...

მოგვმართეთ მისამართით: ფალიაშვილის ქ. 42, 57-ე სკოლის შენობაში (I სართ), მობრძანდით სამუშაო დღეებში 12-დან 16 საათამდე. ტელეფონი: 29-11-78.

**ტურისტული ფირმა „ხალზუნი"**

გეპატიჟებათ სამოგზაუროდ შემდეგი მარშრუტებით:
თურქეთი როგორც ტურისტად, ასევე კერძო მიწვევით.
პოლონეთი, ბულგარეთი-საბერძნეთი, რუმინეთი-ბულგარეთი-საბერძნეთი.
ჩინეთი, ინდოეთი, ავსტრია, შვეცია, ბელგია, იაპონია, ვიეტნამი.
ესპანეთი, ბულგარეთი — დასვენებით.
უნგრეთი, უნგრეთი-იტალია.
ფინეთი, უნგრეთი-ავსტრია.

ფირმა უზრუნველყოფს საკონსულო ბეჭდის ჩარტყმას საბერძნეთის რესპუბლიკაში, აგრეთვე ვიზებისა და პასპორტების გაფორმებას.

მისამართი: მელიქიშვილის ქ. 12, სასტუმრო „საქართველო", 216-ე ოთახი. ტელ.: 22-14-46.

**კომერციული საქმიანობით**
**დაინტერესებულ პირებს!**

„კავკასიის ბირჟასთან" არსებულმა საბირჟო სკოლამ შემოიღო სწავლების ახალი ფორმა. „საბროკერო, კომერციული და საბირჟო საქმიანობის" 4-კვირიან კურსებზე დაშვებულია დასწრება ცალკეულ საგნებზე, ლექციებზე და პრაქტიკულებზე მსმენელთა ნება-სურვილის თანახმად. სრულ კურსში შედის 8 საგანი. კურსის და ცალკეული საგნების ღირებულების 50 % იხდის „კავკასიის ბირჟა". ისეთი საგნების შესწავლა, როგორიცაა საბაზრო ეკონომიკა, აგრობიზნესი, საბროკერო-საბირჟო საქმიანობა, საბუღალტრო აღრიცხვა და სხვა, მსმენელს დაუჯდება მხოლოდ 500-700 მანეთი. კურსები დაიწყო 20 აპრილს.

შედგება რუსული და ქართული ჯგუფები. გამოცდის ჩატარების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართით: ვაჟა-ფშაველას გამზ. 72, ოთახი ა-207, ტელ.: 30-45-83.

**ბაზაზი**
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,

ფირმებსა და კერძო პირებს

**სადაზღვევო** კომპანია „ბაზაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

**გადასახადელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბაზაზს" შეუძლია.**

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

**ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „ბაზაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!**

მთავარი რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.